საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვეული სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

ოთხშაბათი, 27 დეკემბერი. 2017 წ. №261 (8398), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

გზა გადავუღობოთ სიკვდილს!

ქართული დემოკრატიის ზოგიერთი სასწაული ③

დედაქალაქის მერმა მოსახლეობას დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა

თბილისის მერმა კახა კალაძემ მოსახლეობას დამდეგი შობა-ახალი წელი კიდევ ერთხელ მიულოცა.

როგორც მან თბილისის მთავრობის სხდომაზე განაცხადა, დედაქალაქში საახალწლო ღონისძიებები გლდანში, ძველ თბილისსა და ვარკეთილში გაიმართება.

„ვისაც სურვილი აქვს ამ ღონისძიებებზე დასწრების, იცით, რომ როგორც მეტრო, ასევე ავტობუსები მთელი ღამის განმავლობაში იმუშავებს. ყველა ადამიანს, ვისაც კონცერტზე დასწრების სურვილი ექნება, უფასო საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფილი იქნება. მინდა, ყველას წარმატებები ვუსურვო. ჩვენ ერთად, აუცილებლად შევძლებთ, რომ თბილისი სიცოცხლით სავსე ქალაქად ვაქციოთ“, — განაცხადა კახა კალაძემ. მისი თქმით, ახალი წლის ღამეს, საზოგადოებრივი ტრანსპორტი უფასოდ 04:00 საათამდე იმუშავებს.

უნივერსიტეტების არაგეგმიური შემოწმება იწყება

განათლების მინისტრის ინფორმაციით, **უნივერსიტეტების არაგეგმიური შემოწმება იწყება. უნივერსიტეტებს, რომლებიც ავტორიზაციის პირობებს ვერ აკმაყოფილებენ, სტუდენტების მიღება აეკრძალებათ,** — ამის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში განაცხადა.

„ჩვენი სამინისტროს მთავარი საზრუნავი იქნება უმაღლესი სასწავლებლების ხარისხი. აქედან გამომდინარე, დაიწყება არაგეგმიური შემოწმება უნივერსიტეტების ხარისხთან მიმართებაში, ავტორიზაციის კუთხით. იმ უნივერსიტეტებს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ ავტორიზაციის პირობებს, შეუწყდებათ სტუდენტების მიღება. საქმე იმაში გახლავთ, რომ სახელმწიფომ სიმართლე უნდა უთხრას ყველა ოჯახს, მშობლებს, აბიტურიენტებს“...

თემის გაგრძელება იხილეთ მე-5 გვ.

წინასაახალწლოდ — ხმამაღლა!

იქნებ 2018 წელს მაინც მოვეგოთ გონს!..

წინასაახალწლოდ სათქმელი ბევრია, მაგრამ მე მხოლოდ აქა-იქ ჩავკრავ თვალს...

აი, მაგალითად, რატომ არ მოსწონს მიშას პოლიტიკურ ნაბიჭვარს, შუმ ლევან ხაბეიშვილს სიცოცხლით სავსე თბილისი?!

— პასუხი სულ ადვილია!..

— მაინც რატომ?

— რატომ, გენაცვალე, და 2004-2012 წლებში **თბილისი სიკვდილით სავსე ქალაქი იყო...** ნაციონალთაგან პირდაპირ თბილისის ქუჩებში (სხვა ქალაქებზე აღარაფერს ვამბობთ) ცხრილავდნენ და ხვრეტდნენ მხოლოდ და მხოლოდ არაგონივრულად ეჭვმიტანილ ახალგაზრდებს, ვინც კი თვალში არ მოსდიოდათ... დემოკრატიის ნიღაბაფარებულ, ვაი-ქართველ ფაშისტებს, რომელთაც ჩვენი საზოგადოების დიდად სამწუხაროდ, დღემდე არა მარტო პასუხი არ უგიათ, არ გასამართლებულან, არამედ ძალადობის გზით ცდილობენ ხელისუფლების ისევ ხელში ჩაგდებას (სააკაშვილი, საყვარელიძე, ბოკერია, ბაქრაძე, ბარამიძე, დეკანოიძე, გოგორიშვილი, ჭიაბერაშვილი, გოცირიძე, წერეთელი, მელიქიშვილი, რომელთა სახელი ლეგიონია!..) ამ შავ სიაში გულთავგამელოტებული ნიკანდრო მელია განგებ არ ვახსენეთ, რადგან იგი ამჯერად მელიას ტყავში მოვლენილი სააკაშვილია, რომელმაც სწორედ ამ მელიის ენა-პირით დააკარგვინა წონასწორობა ნაციონალთაგან „უნიათოდ“ და „უუნაროდ“ მონათლულ პრემიერ-მინისტრს. ასე რომ, პროვოკაციამ თავის შავ მიზანს მიაღწია — ოცნება გამოაოცნებეს გამოქლიავების ანალოგიურად... ესეც შენი შარივით, საიდანღაც ყურით მოთრეული კოჰაბიტაცია! პირდაპირ საკვირველია, ნაციონალთაგან აშკარად მოსყიდულ დასავლეთის ჭკუაზე რატომ უვლის „დავლურს“ ეს ჩვენი „მეოცნებე“ მთავრობა?! დასავლეთში რა, ყველა ჩვენი კეთილმოსურნე მეგობარია?!

თუნდაც „რუსთავი-2“-ის გაჭიანყელავებული საქმე გავიხსენოთ. როდემდე შეიძლება ბოროტი ძალებისგან გაძეზებული თვითმარქვია „მთავარი არხი“ მთელი 24 საათი დაკავებული იყოს ხელისუფლების დამანგრეველი, ძირის გამომთხრელად მიზანმართული ჭორებითა და ცილისწამებით, თანაც ცოტა სიმართლეგარეულით?! ანდა როდემდე შეიძლება ჩვენი უზენაესი მართლმსაჯულების გადაწყვეტილება ასე თითქმის უკვე მთელი წელიწადია, უპასუხოდ რჩება სტრასბურგიდან?!

ძვირფასო „ოცნების“ ხელისუფლებავ, ვინ წაგართვათ ის კანონიერი სითამამე და პოლიტიკური გაბედულება რომ, როგორც სუვერენულმა სახელმწიფომ, ჰკითხოთ მაინც იმ სტრასბურგს, კიდევ როდემდე გააჭიანურებენ აშკარად ნაციონალთაგან საგანგებოდ დამუხრუჭებულ ამ ეგრეთ წოდებულ „რუსთავი-2“-ის საქმეს. ხალხს ეცით პატივი და გვითხარით, რა ხდება?!

ახლა ისევ პირველ სიტყვაზე მოვიდეთ.

თუ 2004-2012 წლებში დახვრეტილი და ჩაცხრილული ახალგაზრდების თვლას დავიწყებთ, ხელის კი არა, მიმატებული ფეხის თითებიც არ გვეყოფა...

დღესაც, ხვალაც, ზეგაც და, საერთოდ, მომავალ წლებში ნაციონალთა ბოროტების მამხილებლად იღაღადებენ გირგვლიანების, რობაქიძეების, გამცემლიძეების, ვაზაგაშვილების... ჭაბუკური ძალით შემორჩენილი საპროტესტო ხმები!

თქვენ რა, ძვირფასო მეოცნებეებო, იქნებ მართლა იმით აპირებთ თავის მოწონებას, რომ მოფაშისტო ნაციონალთაგან შექმნილ უმძიმეს პირობებშიც ახერხებთ თურმე დემოკრატიის განვითარებას?! თქვენ რა, მართლა ხომ არ ფიქრობთ, რომ დღეს საქართველოში ნამდვილად ვითარდება დემოკრატია?!

როგორც ჩანს, ნიკანდრო მელიას კეთილები, ბატონო პრემიერ-მინისტრო, მარტო საგინებელი კი არა, პასუხმოსათხოვებიც არიან, თანაც მთელი კანონიერი სიმკაცრით და სისასტიკით! მარტო გინება საქმეს ვერ უშველის, პირიქით, ეგ საქმე, რა საქმითაც თქვენ უნამუსო მელია-კუდაგრძელიას დაემუქრეთ, გამრავლებას უწყობს ხელს... თქვენ რა, ნაციონალების კიდევ გამრავლება გინდათ?!

ბოროტმოქმედი სააკაშვილის ბოროტმოქმედი და ამასთანავე, პროვოკატორი და დემაგოგი გუნდი თითქმის მთელი ათი წელიწადი ემსახურებოდა სიკვდილს, სწორედ ამიტომ აღელვებთ და ამიტომ არ მოსწონთ ამჯერად ვითომ გაუკრაინებული დამნაშავე სააკაშვილის ქაქიან კუდებს, რომ თბილისში საახალწლოდ დადგმული ნაძვის ხეები მწვანე ხმით მოგვიწოდებდნენ:

ბოლოს და ბოლოს თბილისი როდის უნდა — ერთ დროს მართლაც სიკვდილის ქალაქი — ვაქციოთ ჭეშმარიტად სიცოცხლით სავსე ქალაქად! მით უმეტეს, თუ ნიკანდრო მელაკუდას კეთილებსაც დროულად და კანონიერად მივხედავთ!

გურამ წიკლაური

კვირიკაშვილი სომხეთის პრეზიდენტს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა პირისპირ შეხვედრაზე უმასპინძლა სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ სერჟ სარგსიანს, რომელიც საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება.

მთავრობის მეთაურმა სომხეთის პრეზიდენტს ვიზიტისთვის მადლობა გადაუხადა და ორი ქვეყნის მრავალწლიანი კეთილმეზობლური ურთიერთობების განვითარების დადებით დინამიკაზე გაამახვილა ყურადღება.

„ღრმად პატივცემულო პრეზიდენტო, მოგესალმებით. ჩვენ მოხარულნი ვართ, რომ თქვენ გადაწყვიტეთ ვიზიტით ჩამოსვლა. პირველ რიგში, მინდა, მოგილოცოთ დამდეგი ახალი წელი, გისურვოთ მშვიდობა და თქვენს ქვეყანას — სტაბილური განვითარება. მოხარული ვარ, რომ თქვენი ვიზიტი აგვირგვინებს წელს, როდესაც ჩვენი დიპლომატიური ურთიერთობების 25 წლის იუბილე ვიზეიმეთ, თუმცა ჩვენი ურთიერთობები მრავალსაუკუნოვანია და ყოველთვის იყო ისეთი თბილი და კეთილმეზობლური, როგორიც დღეს არის. მივესალმებით ჩვენი ორმხრივი ურთიერთობების დინამიკის ზრდას. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“, — მიმართა გიორგი კვირიკაშვილმა სერჟ სარგსიანს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრს გულთბილი მასპინძლობისთვის მადლობა გადაუხადა სომხეთის პრეზიდენტმა და ორი ქვეყნის ურთიერთობების შემდგომი გაღრმავების რწმენა გამოთქვა.

მხარეებმა ისაუბრეს სხვადასხვა სფეროში არსებულ ორმხრივ თანამშრომლობაზე, ასევე — საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის ოფიციალურ ვიზიტზე სომხეთის რესპუბლიკაში, რომელიც უახლოეს მომავალში იგეგმება.

მეგობრობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის დასტური

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს სერჟ სარგსიანს შეხვდა.

ირაკლი კობახიძის განცხადებით, სომხეთის პრეზიდენტის საქართველოში ვიზიტი ორ ქვეყანას შორის მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობების კიდევ ერთი დასტურია. ირაკლი კობახიძემ სერჟ სარგსიანს ბორჯომის ხეობაში ხანძრის სალიკვიდაციო სამუშაოებში სომხეთის მიერ გაწეული დახმარებისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ქართველი ხალხი მძიმე წუთებში სომეხი ერის თანადგომას დიდად აფასებს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ბოლო პერიოდში ორმხრივ ურთიერთობაში მნიშვნელოვანი პროგრესია და გაცვლით მაღალი დონის ვიზიტებს თანამშრომლობის გაღრმავებაში განსაკუთრებული წვლილი შეაქვს. მხარეებმა აღნიშნეს, რომ მეგობრული ურთიერთობის ჩამოყალიბებასა და გააქტიურებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ხალხთა შორის ურთიერთობას ენიჭება და დაადასტურეს, რომ როგორც საქართველოს, ასევე, სომხეთის პარლამენტი ამ პროცესში წვლილის შეტანისთვის მზადაა. სერჟ სარგსიანის განცხადებით, საქართველოსა და სომხეთს მეზობლობის გარდა, მრავალსაუკუნოვანი კავშირი აქვთ, რაც ორივე ქვეყნისთვის ურთიერთობის კიდევ უფრო გამყარების ვალდებულებას ქმნის.

ხაზგასმით აღინიშნა ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებაში საპარლამენტთაშორისო თანამშრომლობის როლი. სომხურმა მხარემ ირაკლი კობახიძე ვიზიტით სომხეთში კიდევ ერთხელ მიიწვია.

კალაძემ მერიაში თვე-ნახევრის მუშაობა შეაჯამა

დედაქალაქის მერმა თბილისის მთავრობის სხდომაზე მერიის მიერ თვე-ნახევრის განმავლობაში განხორციელებული სამუშაოები შეაჯამა. როგორც კახა კალაძემ აღნიშნა, მერიამ რამდენიმე მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა.კალაძემ სხდომაზე ისაუბრა ფართების დაკანონებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ 132 ოჯახს სიმბოლურ ფასად, 1 ლარად გადაეცა საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართები. მისივე თქმით, დღეს კიდევ 35 ოჯახს გადაეცემა ფართები წყნეთში.

მერმა ასევე სტრუქტურულ რეფორმასთან დაკავშირებით ისაუბრა და განაცხადა, რომ ბიუროკრატიის შემცირების მიზნით გაუქმდა 19 კომისია და ე.წ. ზონალური საბჭო.

თბილისის მერმა ასევე ისაუბრა ორბელიანის მოედნის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ ეს ადგილი იქნება ერთ-ერთი საუკეთესო ადგილი დედაქალაქში, რეაბილიტაციის შემდეგ. კალაძის ინფორმაციით, პროექტი 52 მილიონი ლარი ჯდება და 2000 ადამიანი იქნება დასაქმებული.

უკანონო მშენებლობებთან დაკავშირებით კი კალაძემ აღნიშნა, რომ სამშენებლო ნორმები მკაცრდება. მისი ინფორმაციით, მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა უსაფრთხოების ნორმების დარღვევისთვის 216 მითითება გასცა, ასევე, გამოვლენილია უნებართვო მშენებლობის 500 ობიექტი, აქედან 270 ობიექტზე საქმის წარმოება დაიწყო.

დედაქალაქის მერმა ყურადღება გაამახვილა ქალაქის საცობებისგან განტვირთვის გეგმაზეც და აღნიშნა, რომ სწორედ ამას ემსახურება საყოფაცხოვრებო ნარჩენების ღამით გატანასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება. როგორც კალაძემ აღნიშნა, პირველი მარტიდან 32 ქუჩაზე საყოფაცხოვრებო ნარჩენებს 22:00 საათიდან გაიტანენ.მისი ინფორმაციით, მერია ქალაქის საცობებისგან განსატვირთად კიდევ ერთ პროექტს იწყებს, რომლის თანახმად, ე.წ. ყვითელი სამარშრუტო ტაქსები რამდენიმე ქუჩაზე მხოლოდ გაჩერებებზე გააჩერებენ.

რაც შეეხება ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას, მერის თქმით, ამ კუთხით უკვე დაწყებულია სამართლებრივი ცვლილებების მომზდება, რომელიც მწვანე ნარგავების ჭრის საკომპენსაციო თანხების გაზრდას ეხება. ასევე, სამშენებლო კომპანიებს დაეკისრებათ ვალდებულება ნარგავების გადარგვისა და მოვლა-პატრონობის შესახებ.

კახა კალაძემ საახალწლო სადღესასწაულო ღონისძიებებზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ ღონისძიებები სამ ლოკაციაზე — გლდანში, ვარკეთილსა და ძველ თბილისში გაიმართება, ხოლო საზოგადოებრივი ტრანსპორტი ღამით მოსახლეობას უფასოდ მოემსახურება. მერმა მოსახლეობას დამდეგი ახალი წელი მიულოცა.

სპეცოპერაცია პანკისში

სუს-მა ტერორიზმის დაფინანსების, ტერორისტული საქმიანობის სხვაგვარი მატერიალური მხარდაჭერის და რესურსებით უზრუნველყოფის ბრალდებით 5 პირი დააკავა.

„სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტული დეპარტამენტის მიერ, დღეს დილით თბილისსა და ახმეტის რაიონის სოფლებში, დუისსა და ომალოში დაკავებულ იქნა საქართველოს 5 მოქალაქე: ზურაბ გორნაკაშვილი, რუსლან ალდამოვი, რამაზ მარგოშვილი, ბადურ ჩოფანაშვილი და თემირლან მაჩალიკაშვილი. დაკავებული პირები დაკავშირებულები არიან 21-22 ნოემბერს ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად განეიტრალებული დაჯგუფების წევრებთან და წარმოადგენდნენ მათ ხელშემწყობ პირებს.

თემირლან მაჩალიკაშვილი დაკავებისას შეეცადა, წინააღმდეგობა გაეწია სამართალდამცავებისთვის, კერძოდ, უნდოდა, მოქმედებაში მოეყვანა ხელყუმბარა, რა დროსაც დანაშაულებრივი ქმედების აღსაკვეთად უკიდურესი აუცილებლობიდან გამომდინარე გამოყენებული იქნა პროპორციული ძალა და მოხდა თემირლან მაჩალიკაშვილის მისამართით გასროლა, რის შედეგადაც ამ უკანასკნელმა თავის არეში მიიღო ცეცხლნასროლი დაზიანება. იგი ამჟამად ჰოსპიტალიზირებულია.

გამოძიების ამ ეტაპზე დადგენილია, რომ აღნიშნულმა პირებმა, უზრუნველყვეს ახმედ ჩატაევის და მისი თანამზრახველების ჯერ თურქეთის ტერიტორიაზე ტრანსპორტირება, მათი დროებითი საცხოვრებელი მისამართიდან საქართველოს საზღვრის კირნათი-მარადიდის მწვანე ზოლის მონაკვეთამდე, ხოლო შემდგომ დაეხმარნენ ამავე მონაკვეთით საქართველოში უკანონოდ შემოსვლაში. დაკავებულმა პირებმა ასევე უზრუნველყვეს დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების თბილისამდე ჩამოყვანა, დახმარება გაუწიეს ბინის ქირაობასა და იარაღის მოძიებაში.

სპეცოპერაციის დროს დაკავებული და გარდაცვლილი პირების მობილური ტელეფონებიდან ამოღებული მასალების შესწავლის შედეგად, დადგენილია იარაღის სამალავის კონკრეტული ადგილი. ამერიკელ კოლეგებთან ჩატარებული ერთობლივი ღონისძიების შედეგად, აღნიშნული სამალავიდან ამოღებულია ავტომატის მჭიდები, ტყვიები, ზურგჩანთები, რუკები, დურბინდები, რაციები და სხვადასხვა მტკიცებულებები.

საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობით ოპერატიულად დადგენილია სპეცოპერაციის დროს დაკავებული პირი. იგი რუსეთის მოქალაქე შოაიფ ბორზიევია, რომელიც ტერორიზმის ბრალდებით ინტერპოლის მიერ იძებნება. ასევე, ოპერატიულად დადგენილია სპეცოპერაციის დროს ლიკვიდირებული პირების ვინაობა: რუსეთის მოქალაქე იბრაგიმ ადაშევი, რომელიც სხვადსხვა ყალბი პასპორტებით საქართველოში 2010-2012 წლებში იმყოფებოდა და ასლანბეგ სოლტახმადოვი.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე მდებარე ბინიდან ამოღებული ახმედ ჩატაევის კუთვნილი კომპიუტერიდან და სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობებიდან მოპოვებულია აუდიოჩანაწერები. ჩანაწერების მიხედვით, ახმედ ჩატაევი და მისი თანამზრახველები ტერორისტული აქტების განხორციელებას გეგმავდნენ საქართველოსა და თურქეთში. მათ მიზანს დიპლომატიურ მისიებზე თავდასხმები წარმოადგენდა.

სუს-ის კონტრტერორისტული დეპარტამენტის მიერ ჩატარებული ოპერატიულ -საგამოძიებო მოქმედებებისა და 21-22 ნოემბერს ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად, აღნიშნული ტერორისტული აქტები დაგეგმარების პროცესში იქნა აღკვეთილი.

დანაშაულებრივ ჯგუფთან კავშირზე მყოფი სხვა პირების გამოვლენის მიზნით საგამოძიებო მოქმედებები გრძელდება.

გამოძიება 331-ე პრიმა მუხლის მესამე ნაწილით მიმდინარეობს. რაც ტერორიზმის დაფინანსებას, ტერორისტული საქმიანობის სხვაგვარ მატერიალურ მხარდაჭერას ან რესურსებით უზრუნველყოფას გულისხმობს, რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია. სასჯელის ზომად 17-დან 20 წლამდე ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს“, — აცხადებენ სუს-ში.

ტერორიზმში ბრალდებული შოაიფ ბორზიევი 23 წლისაა

ინტერპოლის საიტის მონაცემებით, **შოაიფ ბორზიევი, რომელიც თბილისში ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე სპეცოპერაციის დროს დაკავეს, 23 წლისაა.**

ბორზიევი ჩეჩნეთში, სოფელ ახკინჩუ-ბორზოიში 1994 წლის 27 ივლისს დაიბადა. ის რუსეთის ხელისუფლების მიერ უკანონო შეიარაღებულ დაჯგუფებაში მონაწილეობისთვის იძებნებოდა. ინტერპოლის საიტზე ბორზიევის ბავშვობის ფოტოა განთავსებული. თბილისში ჩატარებული სპეცოპერაციის დროს ერთი მოქალაქე დააკავეს. სუს-ში განაცხადეს, რომ მისი ვინაობა დადგენილია და იგი რუსეთის მოქალაქე შოაიფ ბორზიევია.



დემოკრატიის ზოგიერთი სასწაული

სასწაულია ის, რაც ამჟამად საქართველოში ხდება: კომუნისტური რეჟიმისგან ახლახან განთავისუფლებულ ქვეყანას, სამ ნაწილად დაყოფილს, ჯერ კიდევ სუსტი ეკონომიკით, უზარმაზარი აგრესორი მეზობლით, სახელმწიფოს დემოკრატიული მართვის ისეთი მაღალი ხარისხი გააჩნია, რომელიც ბევრ ქვეყანას, მათ შორის ზოგიერთ ევროპულ სახელმწიფოსაც შეშურდებოდა, რომ არაფერი ვთქვათ სხვა პოსტსაბჭოურ ქვეყნებზე.

ცნობილია, დემოკრატია ეს არის ქვეყნის პოლიტიკური წყობა, როცა ხელისუფლება ხალხს ეკუთვნის. თავის მხრივ, ქვეყნის ძლიერი დემოკრატიული წყობა ძირითადად ეკონომიკურად განვითარებული სახელმწიფოების ხვედრია. ამ შემთხვევაში საქართველო, შეიძლება ითქვას, იშვიათ გამონაკლის წარმოადგენს, რამდენადაც ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებელი — საერთო შიდა პროდუქტი-სშპ ერთ სულ მოსახლეზე მხოლოდ 5990 აშშ დოლარს შეადგენს, მაშინ, როცა ევროპის თითქმის ყველა ქვეყნებში ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად მაღალია, ხოლო ნორვეგიაში, 5 მილიონი მოსახლეობით სშპ ერთ სულ მოსახლეზე 70 590 აშშ დოლარია (ე. ი. თითქმის 12-ჯერ მეტია). რა თქმა უნდა, ასეთ ქვეყნებში დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნა და შენარჩუნება უფრო ადვილია, მით უფრო, როცა მათ დემოკრატიის შენებისა და მართვის საუკუნოვანი გამოცდილება აქვთ.

როგორც ცნობილია, ქვეყნის დემოკრატიულობის განსაზღვრის ხარისხი მეტად რთული და მრავალფაქტორიანია. მაგრამ ძირითადი მაჩვენებელი ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისა მაინც არის ადამიანის უფლებების მდგომარეობა, რომლის მთავარი გარანტი ქვეყანაში ამჟამად არის საქართველოს ახლად მიღებული კონსტიტუცია, ქვეყნის ძირითადი კანონი, რომელიც მმართველობის სისტემის სამართლებრივი ფუნდამენტია.

ადამიანის უფლებათა დაცვის მხრივ საქართველოში ბოლო 5 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი წინსვლა აღინიშნება, გატარებულია რიგი რეფორმები, შექმნილია მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ბაზა, პარლამენტის მიერ მიღებულია ახალი კანონები, რომლებიც ქვეყნის დემოკრატიული წყობის ქვაკუთხედს წარმოადგენს, რაც თავის მხრივ სამართლებრივი დემოკრატიული სახელწიფოს შექმნას ემსახურება. განსაკუთრებით ეს ეხება სასამართლო და პენიტენციური სისტემის გარდაქმნას, რომელიც ევროპულ სტანდარტებზეა ორიენტირებული.

მნიშვნელოვანი მიღწევებია ქვეყანაში სიტყვისა და აზრის თავისუფალი გამოხატვის თვალსაზრისით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები სრულიად ღიაა, და არავითარი შეზღუდვა საწინაღმდეგო ან ოპოზიციური აზრისა არ არსებობს. იყო დრო, როცა ლონდონის „ჰაიდ პარკში“ არსებული „სახალხო ტრიბუნა“ სიტყვის თავისუფლების ეტალონად მიგვაჩნდა, ახლა კი ეს მოგონება მხოლოდ ღიმილის მომგვრელია. ბეჭდვითი პრესა მთლიანად თავისუფალია, არავითარი ცენზურა, საქართველოში იბეჭდება ათეულობით სხვადასხვა სახის წიგნი, ჟურნალ-გაზეთები, ითარგმნება უცხოური გამოცემები ყოველგვარი ცენზურის გარეშე, დაწყებული ჰიტლერის „Mein Kampf“-დან და დამთავრებული ეროტიკული გამოცემებით. რადიომაუწყებლობა მთელი ქვეყნის მასშტაბით ვრცელდება, რაიმე სახის აკრძალვას, შეზღუდვას ადგილი არა აქვს. ინტერნეტი, სოციალური ქსელები — Facebook, Twitter, Instagram და სხვ., ყველასთვის ხელმისაწვდომია ქვეყნის თითქმის მთელ ტერტორიაზე. საქართველო ქრისტიანული ქვეყანაა. მიუხედავად რელიგიური მრავალფეროვნებისა, ადგილი არა აქვს არავითარ რელიგიურ შუღლს, დაპირისპირებას ან რაიმე სხვა სახის კონფლიქტს, ამას კრძალავს კანონიც და გმობს საზოგადოებრივი აზრი.

ქვეყანა, შეიძლება ითქვას, რელიგიური თანასწორობის, ტოლერანტობის საუკეთესო ნიმუშია.

საქართველოში 200-მდე პოლიტიკური პარტია და ათეულობით არასამთავრობო ორგანიზაცია და სხვა საზოგადოებრივი გაერთიანებები არიან დაფუძნებული. მათ მუშაობაში არავითარ გარედან ჩარევას ან შევიწროებას ადგილი არა აქვს. რაც შეეხება ადამიანთა შეკრებებს, დემონსტრაციებს, მიტინგებს, ისინი რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობებით და ადამიანთა უფლებები მაქსიმალურადაა დაცული. ამის სადემონსტრაციოდ ისიც კმარა, რომ ქართულ პოლიციას ბოლო 5 წლის განმავლობაში დემონსტრაციების ან მიტინგების დროს, თუნდაც თავიანთი თავდაცვის მიზნით, პრაქტიკულად არ გამოუყენებიათ სპეცტექნიკა (ცრემლდენი გაზი, წყლის ჭავლი, ხელკეტები), მაშინ, როცა დასავლეთის დემოკრატიული პოლიციისთვის ეს ტექნიკა ჩვეულებრივი ყოველდღიური მოხმარების ატრიბუტია. რა თქმა უნდა, ჩვენს ქვეყანაშიც არის კანონის დარღვევის და ძალის გადამეტების ცალკეული შემთხვევები, მაგრამ ეს მოვლენები სისტემურ ხასიათი არ ატარებენ და ხშირად მაღალი დემოკრატიის მქონე ქვეყნებშიც აქვს ადგილი.

ითვლება, რომ ტელევიზია ყველაზე დიდ როლს ასრულებს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში. საქართველოში 40-ზე მეტი დამოუკიდებელი ტელეარხი არსებობს, ხოლო არსებული კანომდებლობით ყველას, ვისაც სურვილი და შესაძლებლობა აქვს, შეუძლია, იქონიოს საკუთარი ტელევიზია და თავისივე შეხედულების მიხედვით შეუზღუდავად აწარმოოს ტელემაუწყებლობა. მაგ., ქვეყნიდან წასულ ყოფილი ოპოზიციონერი პრეზიდენტი, რომელიც ამავე დროს ბრალდებულია და არ არის საქართველოს მოქალაქე, ტელეეკრანზე უფრო ხშირად ჩნდება, ვიდრე ამჟამად ქვეყნის მოქმედი პრეზიდენტი და, რაც მთავარია, იძლევა ინტერვიუებს, ლანძღავს ქვეყნის მთავრობას, გამუდმებით იმუქრება, აკეთებს ანტისახელმწიფოებრივ განცხადებებს...

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, გაკვირვებას იწვევს, რაც, ალბათ, ქართული „დემოკრატიული ტელემაუწყებლობის“ უცნაურ „ნოუ-ჰაუდ“ უნდა ჩაითვალოს. აქვე უნდა ითქვას, რომ ამ სახის პრეცენდენტი, ალბათ, არ მოიძიება არც ერთ დემოკრატიულ ქვეყანაში, თუნდაც ისეთ გამორჩეულ დემოკრატიულ ქვეყანაში, როგორიც არის აშშ!

რუსული მაღალრეიტინგული ინგლისურენოვანი არხის RT-Russia Today-ს მაუწყებლობა დაადანაშაულეს ქვეყნის ინტერესებისთვის არასასურველ, საზიანო ქმედებებში და აიძულეს დარეგისტრირებულიყო 1938 წელს მიღებული კანონის თანახმად, როგორც უცხო ქვეყნის აგენტი, დაუწესეს მკაცრი მონიტორინგი, რითაც შეუზღუდა მაუწყებლობა. რაც შეეხება ჩვენს ტელეარხებს, ამდაგვარი არაფერი მათ ნამდვილად არ ემუქრებათ, ვინაიდან, ეტყობა, ჩვენ დემოკრატიის უფრო მაღალ საფეხურზე ვიმყოფებით (თუ ეს, რა თქმა უნდა, დემოკრატიულობაში ჩაგვეთვლება). ისე კი, კარგი იქნებოდა თუ ჩვენი უცხოელი პოლიტიკური ოპონენტები, ან ჩვენი ოპოზიციონერი პარლამენტარები, როდესაც ჩვენს ქვეყანას აკრიტიკებენ, კეთილი ინებონ და იქვე აღიარონ, რომ თურმე არსებობს ასეთი ქვეყანა საქართველო, რომელიც მთელი რიგი მაჩვენებლებით უფრო მაღალი დემოკრატიის სტანდარტებს ფლობს, ვიდრე მათთვის კარგად ცნობილი მაღალგანვითარებული დემოკრატიული ქვეყნები!

ხდება ისიც, რომ ქვეყნის დემოკრატიული გარდაქმნები ხშირად არ არის სწორად გაგებული და არ გამოიყენება ქვეყნის საკეთილდღეოდ. მაგალითად, ერთმა ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის ლიდერმა ქალბატონმა გადაწყვიტა ხალხის მიერ კანონიერად არჩეული მთავრობისა და ქვეყნის პრემიერის გადაყენება, რის შესახებაც თავის მომხრეებს მოუმხო და აცნობა საკუთარი გადაწყვეტილების შესახებ — **„არ მომწონს, უნდა ვაიძულოთ, რომ გადადგეს“,** — ამ მიზნით დააანონსა მიტინგები, დემონსტრაციები, ხოლო, როცა მთავრობა (პრემიერი) არ გადადგა, პროტესტის ნიშნად შიმშილობაც გამოაცხადა. ყველაფერი ეს განხორციელებული იყო დემოკრატიის ჩარჩოებში და ამისთვის ხელი არავის არ შეუშლია. საკვირველი კი ის გახლავთ, რომ ქალბატონი პარლამენტის წევრია, და თუ თავის თავს ოდნავ მაინც მოიაზრებს დემოკრატიულ სივრცეში, ის მაინც უნდა იცოდეს, რომ ხალხის მიერ არჩეული მთავრობის გარედან შეცვლის შემთხვევაში ლეგიტიმურად მხოლოდ საყოველთაო სახალხო არჩევნები ითვლება, რისი გამოცდილება, საბედნიეროდ, ჩვენს ქვეყანას უკვე გააჩნია. ნებისმიერი სხვა გზა: **შანტაჟი, ძალადობა, რევოლუცია შეუთავსებელია დემოკრატიულ სისტემასთან და ქვეყანაში ანარქიის, განუკითხაობის საფუძველს ქმნის.**

ამჟამად საქართველოში არსებული დემოკრატიული ინსტიტუტები ჯერ კიდევ მყიფეა, მათ დიდი გაფრთხილება უნდა, სანამ ქვეყანა ყოველმხრივ არ გაძლიერდება, მტკიცედ არ დადგება ფეხზე. ზოგჯერ უაზრო, ცალმხრივი, უკონტროლო ქმედებების შედეგად ქვეყანამ შეიძლება დაკარგოს ეს მნიშნელოვანი მონაპოვარი, განსაკუთრებით ეს უნდა იცოდნენ ახალგაზრდებმა, რაც შეეხება უფროს თაობას, რომელმაც კომუნისტური რეჟიმი გამოიარა, მათ ქვეყანაში დემოკრატიული გარდაქმნების ფასი ყველაზე კარგად იციან.

დემოკრატია პროცესია და მისი განვითარება ძირითადი საშუალებაა ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და აღმშენებლობისა. ამ მხრივ ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, წინსვლას მუშაობა და დიდი დრო სჭირდება, რომ ჩამოვაყალიბოთ მაქსიმალურად დემოკრატიული სისტემა. განსაკუთრებით ეს შეეხება კანონის უზენაესობის, კანონმორჩილების პრინციპების დანერგვას ხალხში, სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებას, საარჩევნო სისტემის მოდერნიზაციას და სხვ. მიუხედავად მთელი რიგი პრობლემებისა, ამჟამად შეძლება ითქვას, რომ ჩვენმა ქვეყანამ დემოკრატიული განვითარების თვალსაზრისით, შედარებით მცირე დროში, შთამბეჭდავ წარმატებას მიაღწია, რისი დასტურია ევროკავშირის ასოცირების შეთანხმება საქართველოსთან, ევროპის შენგენის ქვეყნებში უვიზო რეჟიმის მინიჭება, საქართველოსა და აშშ შორის სტრატეგიული თანამშრომლობის ხელშეკრულება, და, რაც მთავარია, საქართველოს, როგორც დემოკრატიულად განვითარებადი ქვეყნის საერთაშორისო აღიარება.

ბონდო ძოგულია,
პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ევროპისა და ამერიკის კარდიოლოგთა საზოგადოების საპატიო წევრი.

კიევში საქართველოს მოქალაქეები ლინჩის წესით გასამართლებას გადაურჩნენ

კიევის ოლქში საქართველოს 2 მოქალაქე ლინჩის წესით გასამართლებას გადაურჩა. ამის შესახებ უკრაინის პოლიციის მთავარი სამმართველო იტყობინება. ინციდენტი ქალაქ ვიშნევოიში მოხდა. პოლიციამ მანქანის გაჩერება სცადა, რომელშიც საქართველოს მოქალაქეები იმყოფებოდნენ. ისინი სამართალდამცველებს არ დაემორჩილნენ და გაქცევა სცადეს. მანქანა ტროტუარზე აიჭრა და ქალს დაეჯახა, რომელსაც 11 წლის ბავშვი და ჩვილი ახლდა. ისინი სხეულის მძიმე დაზიანებებით საავადმყოფოში გადაიყვანეს. თვითმხილველებმა დამნაშავეებზე ფიზიკური ანგარიშსწორება სცადეს, თუმცა საქართველოს მოქალაქეები სამართალდამცველებმა გადაარჩინეს. ისინი წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს. როგორც პოლიცია იტყობინება, დაკავებულები ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ იყვნენ. მათი ვინაობა არ სახელდება, თუმცა როგორც პოლიციაში აცხადებენ, დაკავებულებს მართლმსაჯულებასთან პრობლემები ადრეც არაერთგზის ჰქონდათ.

სამართლებრივი პროცედურები გრძელდება

სამართლებრივი პროცედურები მიხეილ სააკაშვილის ექსტრადირების შესახებ გრძელდება და რაიმე ახალი მოთხოვნა საქართველოს უკრაინაში არ გაუგზავნია, — აცხადებს ეკა ბესელია. მისი თქმით, პროცედურები სამართლებრივია და პოლიტიკურ მოტივებს არ უკავშირდება.

„ის პროცედურა, რაც იყო უკვე დაწყებული საკმაოდ დიდი ხნის წინათ, სამართლებრივი პროცედურა კანონის შესაბამისად, ის პროცედურა მიმდინარეობს და რაიმე ახალი მოთხოვნის თაობაზე მე პირადად არ მაქვს ინფორმაცია, იმიტომ რომ ეს სამართლებრივი თანამშრომლობა ქვეყნებს შორის, უკვე დაწყებულია იმ ეტაპიდან, რა ეტაპზეც საქართველოში სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება წინასწარი პატიმრობის თაობაზე და სასამართლო პროცესებიც მიმდინარეობს სასამართლოში,“ — განაცხადა ეკა ბესელიამ.

პათოლოგიურად აგრესიულ ბავშვებს დროულად უნდათ გამოვლენა!..

მკვლელი ორგანიზმების ფორმირების ფსიქობიოლოგიური საფუძვლები

ბოლო ხანებში საკმაოდ გახშირდა 14-16 წლის ახალგაზრდებს შორის დაპირისპირება, რაც ხშირად მკვლელობით მთავრდება. საკმარისია გავიხსენოთ 2 კვირის წინათ მომხდარი ტრაგედია, როცა 2 ახალგაზრდა მრავლობითი ჭრილობის მიყენებით გარდაიცვალა. დღეს სატელევიზიო და რადიოგადაცემებში ფართოდ მსჯელობენ მოსწავლეთა მშობლები, პედაგოგები, მანდატურები, პოლიციის წარმომადგენლები, ფსიქოლოგები მათი საქმიანობის გაძლიერებისა და მანდატურების გადამზადების შესახებ, არავინ კითხულობს იმას, თუ რითია განპირობებული ახალგაზრდებში ასეთი სისასტიკით გამოწვეული ქცევების ფორმირება. ჩვენი მრავალწლიანი ნეიროქიმიური კვლევების საფუძველზე, გამოიკვეთა აგრესიული და მკვლელი ორგანიზმების ფორმირების რამდენიმე ფსიქოემოციური ფაქტორი (ნ. ალექსიძე, 2014; Н. Алексидзе 2015, საგაზეთო წერილი, 8 ოქტომბერი, „საქართველოს რესპუბლიკა“, 2017):

ეს ფაქტორებია:

1. აგრესიული სოციალური გარემო, 2. არასწორი კვება, 3. 14-16 წლის ასაკის ვაჟებში მოჭარბებული სასქესო ჰორმონები (ტესტოსტერონი), 4. „ომისა“ და „მკვლელობის“ გენები ქრომოსომების დარღვევის დონეზე და 5. ტელევიზია, სატელევიზიო გადაცემებით მკვლელობებისა და თვითმკვლელობის გააქტიურებისა და ინფორმაციის ემფატიკურად აღქმის გზით.

მკვლელობის პირველი ფაქტორი: მას შემდეგ, რაც იტალიელი ნეირობიოლოგის ჯაკომო პიცცოლატის მიერ თავის ტვინში აღმოჩენილ იქნა სარკისებრი ნეირონები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება ახალშობილის მიერ მის ირგვლივ მყოფი ადამიანების მეტყველების და ქცევების აღქმა, გასაგები ხდება, რომ თუ ახალშობილის პოსტემბრიონული განვითარება მიმდინარეობს აგრესიული სოციალური გარემოს პირობებში, მისი კულტურის ჩამოყალიბება ემფატიკური იმიტაციის გზით, ჩაინერგება მის გენეტიკურ აპარატში აგრესიული ქცევის კოდით, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე ორგანიზმში დარჩება და რაც გამოვლინდება ახალგაზრდის აგრესიული ქცევების სახით.

მკვლელობის მეორე ფაქტორია, არასრულფასოვანი კვების შედეგად აგრესიული, მკვლელობის ერთ-ერთი კორელატის სეროტონინის უკმარისობა ახალგაზრდების ორგანიზმში. დადგენილია, რომ 4-6 დღის განმავლობაში, სეროტონინის წინამორბედი ამინომჟავას ტრიპტოფანით ღარიბი საკვებით ვირთაგვების კვებისას, ორგანიზმში სეროტონინის რაოდენობა 30%-ით მცირდება, შედეგად, ხდება არამკვლელი ორგანიზმების მკვლელებად გადაქმნა. ტრიპტოფანით მდიდარი (25-100მგ) საკვებით კვებისას მკვლელი ვირთაგვები გახდნენ არამკვლელები, ტოლერანტები ბაყაყებისა და თაგვების მიმართ, მათი შეხვედრისას მკვლელობის არცერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა. საგულისხმოა, რომ ცხოველების მიმართ აგრესიულად განწყობილ ბავშვებში, როგორც წესი, მნიშვნელოვნადაა შემცირებული სეროტონინის რაოდენობა. სეროტონინის რაოდენობა მნიშვნელოვნადაა შემცირებული აგრეთვე იმ მაიმუნებში, რომელთაც დაკარგეს ლიდერის ფუნქცია საკუთარ ჯოგში. აღნიშნულიდან გამომდინარე უნდა დავუკვირდეთ ჯგუფში ავტორიტეტდაკარგული ბავშვების ქცევებს, ვინაიდან აგრესიისა და მკვლელი ორგანიზმების ფორმირების ერთ-ერთი წინაპირობაა ახალგაზრდის ორგანიზმში სეროტონინის წინამორბედი ამინომჟავა ტრიპტოფანის რაოდენობრივი შემცველობა. პრევენციის მიზნით სასურველია საკვებდანამატის სახით ვაშლების ნაცვლად ბუფეტებში დავუმზადოთ მოსწავლეებს ტრიპტოფანით მდიდარი ჰოლანდიური და მდნარი ყველისაგან მომზადებული ბუტერბროდები. ჰოლანდიური ყველისა და მდნარი ყველის ყოველ 100 გრამში შესაბამისად 790 და 500 მილიგრამი ტრიპტოფანის წინამორბედი ამინომჟავას ტრიპტოფანია, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ახალგაზრდების ორგანიზმში სეროტონინის შემცველობას და საგრძნობლად შეამცირებს მათ აგრესიულ ქცევებს. ცნობილია, რომ საზოგადოებისაგან იზოლაცია კიდევ ერთი მძლავრი ფაქტორია აგრესიული ბავშვების ფორმირებაში, ამიტომ ერთბავშვიან ოჯახებში ბავშვების აგრესიისაგან პრევენციის მიზნით აუცილებელია მათი სოციალური ჩამოყალიბება მოხდეს მეგობრებთან ერთად საბავშვო ბაღებში.

ექსპერიმენტულად დადგენილ იქნა, რომ ცხოველებში აგრესია და მკვლელობა მამრობითი სასქესო ჰორმონებითაა ცვლილებებთანაა დაკავშირებული. მაგალითად, როცა ვირთაგვები დავკოდეთ, მათ მიერ არ გამოვლინდა არც აგრესიულობა და არც მკვლელობის შემთხვევები თაგვების და ბაყაყების მიმართ. დაკოდილ ვირთაგვებში მამრობითი სასქესო ჰორმონის **ტესტოსტერონის** ინიექციის შედეგად, კვლავ გაძლიერდა თაგვებისა და ბაყაყების მიმართ მკვლელობის შემთხვევები. როცა პრევენციის მიზნით, ვირთაგვები წყალში ცურვით დავღალეთ გამოვლინდა საყურადღებო ფაქტი: მკვლელი ვირთაგვები კვლავ ტოლერანტული გახდენენ თაგვებისა და ბაყაყების მიმართ და ასეთი პირობების შემდეგ ვირთაგვებმა არ გამოამჟღავნეს არც აგრესიული და არც მკვლელობის ქცევითი ხასიათი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლის დირექტორებს ვურჩევთ გააძლიერონ გაკვეთილებს შორის ფიზიკური დატვირთვები, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების, მათ შორის სასქესო ჰორმონების რაოდენობრივი შემცირებისა და განეიტრალების მიზნით. მისასალმებელია, რომ პარლამენტის სხდომაზე მთავრობის დამტკიცებისას განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მ. ჩხენკელმა საყურადღებო განცხადება გააკეთა სკოლებში სპორტული ღონისძიებების გაძლიერების მიზნით, ვფიქრობ, ეს ახალგაზრდებში უდავოდ დაამკვირებს ჯანსაღი ცხოვრების წესს.

სამწუხაროდ, გენეტიკური აპარატის სასქესო ქრომოსომების დონეზე, გამოვლენილია **„ომისა“** და **„მკვლელობის“** გენები. უახლესი მონაცემებით ადამიანებში აგრესიული და კრიმინალური ქცევის მქონე პიროვნებები ოთხ ჯგუფად არის დაყოფილი:

1. ახალგაზრდები **კლაინფელტერის** სინდრომით (XXY სასქესო ქრომოსომით) ხასიათდებიან სათესლე ჯირკვლების განუვითარებლობით, არიან ტანმაღლები, გამოირჩევიან გონებრივი სიჩლუნგით, რაც განაპირობებს მათ ადვილად გადაბირებას კრიმინალური დანაშაულის ჩასადენად.

2. ახალგაზრდები **აბერანტული** ქრომოსომებით (XXY ან XXYY სასქესო ქრომოსომებით) ხასიათდებიან გონებრივი ჩამორჩენილობით, მაღალი ტანით, გამოირჩევიან კრიმინალური ქმედების ჩადენითა და აგრესიულობით.

3. ნერვული სისტემის მემკვიდრული დარღვევის მქონე ადამიანები გამოირჩევიან ემოციურ-ეთიკური დეგრადაციით, ეპილეფსიური სიფიცხით, დოგმატიზმით, შიზოიდურობითა და ალკოჰოლიზმით გამოწვეული დარღვევებით.

4. ერთკვერცხუჯრედიდან განვითარებული ტყუპების 1/4 მიდრეკილია კრიმინალური დანაშაულის ჩადენისაკენ, ასეთი ბავშვები ყურადღების ცენტრში უნდა იყვნენ, და გადამოწმებული მათი ქცევების შეფასების მიზნით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ყველა ეს მონაცემი ღრმად შესწავლილი და გათვალისწინებული უნდა იყოს, რათა ვიმსჯელოთ ახალგაზრდების მომავალი ქცევით რეაქციების შესახებ და მათ პრევენციაზე.

აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს სატელევიზიო გადაცემებზეც, რომელთა გავლენით ემფატიკურად ძლიერდემა მიდრეკილება მკვლელობისა და თვითმკვლელობის ჩადენისკენ. ამერიკაში სპეციალურად შეისწავლეს მკვლელობისა და თვითმკვლელობის შესახებ გადაცემული ინფორმაციის გავლენის საკითხი ადამიანთა ფსიქოემოციურ მდგომარეობასა და თვითმკვლელობაზე. მაგალითად, თვითმკვლელობის შესახებ ტელეგადაცემის შემდეგ, ამერიკაში ორი თვის განმავლობაში, თვითმკვლელობის შემთხვევები **58**-ჯერ გაიზარდა, 80-იან წლებში, მატარებლის ბორბლებში ჩავარდნის გზით „**სტუდენტის სიკვდილის**“ ტელევიზიით ჩვენების შემდეგ, **15-19** წლის ახალგაზრდებში თვითმკვლელობა **200 %**-ით გაიზარდა. გასული საუკუნის 80-იან წლებში ავსტრალიაში, მეტროში თვითმკვლელობის შემთხვევების გახმაურების შემდეგ მნიშვნელოვნად გახშირდა თვითმკვლელობა მეტროში. მეტროს ადმინისტრაციამ აკრძალა „**რელსებზე მკვლელობის**“ ტელევიზიით ჩვენება და ერთი თვის შემდეგ, მეტროპოლიტენში თვითმკვლელობის შემთხვევები სამჯერ შემცირდა. (ნ. **ალექსიძე, 2014**). არის მონაცემები, რომ თვითმკვლელობა კორელირებს განწყობასთან. თუ გამოცხადებული იქნა თვითმკვლელობა ასაკოვანი ადამიანის შესახებ, თვითმკვლელობა მატულობდა ასაკოვან ადამიანებში, თუ თვითმკვლელობა ჩაიდინა სხვა სოციალური წრის წარმომადგენელმა, მაშინ თვითმკვლელობა გაიზარდა იმავე სფეროს წარმომადგენლებში. ამის გამო CNN-მა აკრძალა სატელევიზიო გადაცემებში გარდაცვლილებისა და სისხლიანი დანების ჩვენება. ალბათ, დროა, ჩვენი ტელევიზიის წარმომადგენლებმაც მიიღონ მსგავსი გადაწყვეტილება, ვინაიდან ასეთი გადაცემები ანგრევს ადამიანების, განსაკუთრებით ახალგაზრდების ფსიქიკას.

სამწუხაროა, რომ საქართველოს ტელეგადაცემებში მკვლელობისა და თვითმკვლელობის შემთხვევები ფართოდ და დეტალურად შუქდება, რაც, ალბათ, გახშირებული მკვლელობისა და თვითმკვლელობის ერთ-ერთი უპირობო მიზეზია. სატელევიზიო გადაცემებში, უჩვენებენ მიწაზე დაქცეულ სისხლს, სისხლიან დანებს, გარდაცვლილებს, ჭრილობებს და სხვ. ტელეგადაცემების წამყვანი ჟურნალისტის შემდეგ, მკვლელობის შესახებ საუბრობენ მეზობლები, ახლობლები, შემდეგ ექიმი, რომელიც დაწვრილებით აღწერს, თუ რა სიღრმისა და რამდენი ჭრილობა მიაყენეს დაზარალებულს, ბოლოს, პოლიციის წარმომადგენელი მსჯელობს დანაშაულზე და მოსალოდნელ განაჩენზე. ალბათ, დროა, საქართველოს ტელევიზიების მესვეურებმა დროულად გადადგან სათანადო ნაბიჯები მკვლელობისა და თვითმკვლელობის გამააქტიურებელი ინფორმაციის გავრეცელების შეკავების მიზნით. სამწუხაროდ, ყოველდღიურად ვრცელდება ინფორმაცია 5-6 მკვლელობისა და თვითმკვლელობის შესახებ, თუ როგორ გარდაიცვალა ბავშვი შენობიდან გადმოვარდნის გამო, როგორ მოკლა შვილმა მამა, მამამ – შვილი, ცოლი, ძმა და ასე შემდეგ. ან რა აუცილებლობაა, რომ ყოველდღიურად და ყოველ საათში მოვისმინოთ უცხოეთში ტერორისტების მიერ განხორციელებული აქტების შედეგად ასეულობით დაღუპული ადამიანების ჩვენება. არა მგონია, ამ ინფორმაციით დაინტერესებული იყოს მოსახლეობა, ასეთი გადაცემების შედეგად იზრდება ადამიანების ფსიქოემოციური დაძაბულობა და შედეგად, დეპრესიული მდგომარეობა, რაც ხელს უწყობს მკვლელობისა და თვითმკვლელობის გახშირებას. ასეთი გადაცემების შედეგად ინგრევა ადამიანების ფსიქიკა და მერე გვიკვირს, თუ საიდანაა ამდენი აგრესიული განწყობა ადამიანებს შორის. ასეთ ფსიქოემოციურ ფარულ განწყობას კიდევ უფრო ამძიმებს პარტიების ცალკეული წარმომადგენლების მიერ ერთმანეთის ლანძღვა, დაპირისპირება, არაეთიკური მიმართვები, ყოველგვარი სიძულვილი, რაც სატელევიზიო გადაცემებითაა გამოწვეული, ჟურნალისტები ყოველთვის ცდილობენ დაუპირისპირონ პოლიტიკოსები. გთხოვთ, გაუფრთხილდეთ საქართველოს მოქალაქეთა ჯანმრთელობას, ასეთი სახის გადაცემები სიკეთეს არ მოუტანს მოქალაქეებს. იქნებ დროა, გავიხსენოთ ის დრო, როდესაც ყველა გარდაცვლილი მოიხსენიებოდა გაზეთ „თბილისში“, სადაც თავის თანაგრძნობას გამოხატავდნენ ახლობლები, ნათესავები და მეგობრები. იქნებ ვინმემ ითავოს ასეთი გაზეთის გამოშვება და გამოვაცალოთ საზოგადოებისათვის მავნებელი ლუკმა ჟურნალისტებს..

აგრესიული ცხოველების გამოვლენის მიზნით ჩვენ დავამუშავეთ სპეციალური მეთოდი ბიოლოგიურად აქტიური მცენარეული წარმოშობის ლექტინების გამოყენებით. დადგენილ იქნა, რომ ფსიქოემოციური ცვლილებები თავის ასახვას პოულობს ერითროციტების მემბრანების ბიოქიმიური ცვლილებების დონეზე, რაც განპირობებულია აგრესიული ვირთაგვების ერითროციტების მემბრანის გლიკოპროტეინებში, არაქისის (Arachis hypogaea) ლექტინის დამაკავშირებელი ტერმინალური შაქრების (**β-D-Gal, Gal-β-(1,4-Glc)** რაოდენობის 138-ჯერ შემცირებით (**Н. Алексидзе и др. 2006, □лексидзе Н. 2013, 2014).** მართალია, მსგავსი ექსპერიმენტები ადამიანების სისხლზე არ ჩაგვიტარებია, თუმცა მომავალში ამის შესაძლებლობა, ალბათ, გვექნება, რათა ლექტინების გამოყენებით მოხდეს პათოლოგიურად აგრესიული ბავშვების დროული გამოვლენა და მათი ფსიქოთერაპიული და ფარმაკოლოგიური მკურნალობა (**Н. Алексидзе, Р. Гогуадзе и др. 2006**).

პროფესორი
ნუგზარ ალექსიძე

საკუთარი შვილის უვარგისი დიპლომისთვის მშობლები უკანასკნელ ძროხას ყიდღნენ

ІІМ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ კრიტერიუმებს, სავარაუდოდ, დახურვა მოუწევთ. ამის შესახებ პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა და განმარტა, რომ ამ მიმართულებით ნაბიჯები გადასადგმელია, რაც თავისი შედეგით ყველასთვის სასიამოვნო ვერ იქნება.

„შევამცირებთ თუ არა უმაღლესი განათლების ინსტიტუტებს? დიახ, შევამცირებთ, ავტორიზაციის სისტემა შედეგად მოიტანს იმას, რომ გარკვეულ უმაღლეს სასწავლებლებს მოუწევთ დახურვა. რა თქმა უნდა, ვიზრუნებთ იმ სტუდენტების ბედზე, რომლებიც იქ სწავლობენ. არავითარ შემთხვევაში, ეს არ უნდა შეეხოთ სტუდენტებს“, — აღნიშნა პრემიერმა.

მანვე განმარტა, რომ ხელისუფლებას არა აქვს უფლება, მოატყუოს სტუდენტები, მისცეს მათ საშუალება, საკუთარი ფული დახარჯონ, დახარჯონ რესურსი და შეიქმნან არარეალისტური წარმოდგენა საკუთარ მომავალზე, თითქოს ისინი იღებენ პროფესიას. სინამდვილეში, ეს ახალგაზრდები პირდაპირი უმუშევრობისთვის ემზადებიან. ამდენად, ეს მანკიერი წრე სადღაც უნდა ჩაიკეტოს.

საქართველოს ფსიქოლოგთა საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე, ექსპერტი განათლების საკითხებში **ზურაბ ვახანია** პრემიერის ინიციატივას იზიარებს. For.ge-სთან საუბარში ის აცხადებს, რომ თავის დროზე უმაღლესი სასწავლებლების ბუმი იმით აიხსნებოდა, რომ ეს ფულის კეთების საშუალება იყო. გარდა ამისა, აკრედიტაციის დროსაც კეთდებოდა ფული და ამდენი სტუდენტი რომ იხდიდა სწავლის საფასურს, სახელმწიფოს იქიდანაც დაბეგვრით შესდიოდა წილი. ამ უმაღლესებში სტუდენტები ყოველწლიურად 1000, 2000 ლარს ან უფრო მეტსაც იხდიდნენ, მაგრამ განათლებას ვერ იღებდნენ და, ფაქტობრივად, ეს ახალგაზრდების გზის აცდენას ემსახურებოდა. სტუდენტებს თავი სპეციალისტებად წარმოედგინათ, ე.წ. დიპლომის ხათრით აღარ ჰკიდებდნენ იმ საქმეს ხელს, რასაც, სხვა შემთხვევაში, ხელს მოჰკიდებდნენ. მათი ოჯახები კი უკანასკნელ ძროხებს ყიდდნენ უვარგისი დიპლომისთვის.

ზურაბ ვახანია მოელის, რომ ახლა უკვე ძნელი იქნება ცალკეული უმაღლესი სასწავლებლის დახურვა, რადგან ატყდება წივილ-კივილი, მაგრამ მთავრობამ ყველაფერს უნდა გაუძლოს და დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანოს.

„ამდენი არაკვალიფიციური უმაღლესის არსებობა საქართველოსთვის საზიანო, მავნებლობა იყო. საბჭოთა კავშირის ბოლო წლებში საქართველოში ერთ წელიწადში 8 ათასი ახალგაზრდა ხდებოდა სტუდენტი, თანაც, მათ გარანტირებული ჰქონდათ დასაქმება. ახლა კი ყოველწლიურად 35 ათასი ახალგაზრდა ხდება სტუდენტი და არანაირი პროპორცია დაცული არა არის. ამის მიუხედავად, კერძო სასწავლებლის დახურვის უფლება სახელმწიფოს არა აქვს. ყველა სასწავლებელს აქვს ლიცენზირება, რაც საკმარისია იმისთვის, რომ გაიხსნას ეს სასწავლებლები. უბრალოდ, სახელმწიფოს შეუძლია მათ არ მიანიჭოს აკრედიტაცია. დღესაც კანტი-კუნტად არის შემორჩენილი არააკრედიტირებული უმაღლესი სასწავლებლები, რომლებიც სტუდენტთა ნაკლებობას განიცდიან. ეს სტუდენტები უმუშევრობისთვის ემზადებიან. ეს იყო მოსახლეობის მასობრივი მოტყუება და სახელმწიფოს დანაშაული, რადგან სწორედ სახელმწიფო ანიჭებდა ამ უმაღლესებს აკრედიტაციას. ცხადია, თუ მიანიჭებ აკრედიტაციას, მერე შენ ხარ პასუხისმგებელი ამ სასწავლებლების კვალიფიკაციაზე. ამიერიდან, ალბათ, ასეთი სასწავლებლები აკრედიტაციას ვეღარ მიიღებენ, შესაბამისად, სტუდენტებიც აღარ ეყოლებათ. ყოველ შემთხვევაში, იმდენი სტუდენტი მაინც არ მოინდომებს არააკრედიტირებულ სასწავლებელში სწავლას და ზოგიერთი მათგანი დაიხურება“, — აცხადებს ზურაბ ვახანია.

ამასთან, განმარტავს, რომ მხოლოდ უმაღლესების არაკვალიფიციურობა არ არის პრობლემა, ეს ყველაფერი სკოლიდან მოდის. სკოლადამთავრებულების ცოდნა და უნარ-ჩვევები იმდენად დაბალ დონეზეა, რომ მზად არ არიან სტუდენტობისთვის. რაგინდ კარგი უმაღლესი სასწავლებელიც არ უნდა იყოს, უსწავლელი ახალგაზრდა უმაღლესში ვერაფერს გააკეთებს, რადგან სტუდენტობის ორი წელი უნდა მოანდომოს იმის შესწავლას, რაც სკოლაში არ უსწავლია.

ყველაფერ ამის გათვალისწინებით, ზურაბ ვახანია მიიჩნევს, რომ ძალიან კარგი იქნება, თუკი უმაღლესი სასწავლებლები შემცირდება. ამით კონკურენციაც გაიზრდება. ამასთან, სპეციალისტს აინტერესებს, ყველა რატომ უნდა გახდეს სტუდენტი? განა თვითონ ახალგაზრდისთვის არ იქნება უკეთესი, ტყუილად არ მოცდნენ?!

ექსპერტი განათლების საკითხებში **მარიამ რამინაშვილი** For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ აუცილებელია, სახელმწიფოს ჰქონდეს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საერთაშორისოდ აღიარებული ნორმები, რომელიც უზრუნველყოფს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის მაღალ ხარისხს და ეს იქნება ობიექტური (და არა სუბიექტური) შეფასების საწინდარი.

„უმაღლესების რაოდენობა ბევრია თუ ცოტა, საკითხის ასე დაყენება სწორი არ არის, რადგან აქ შედეგია მთავარი, ანუ განათლების მაღალი ხარისხი. ბაზარი თავად დაარეგულირებს ამას. პრემიერი არ უნდა შეცდეს, როგორც ის შეცდა მასწავლებლის ხელფასზე საუბრისას. კვირიკაშვილმა აღნიშნა, თითქოს პედაგოგები დაკმაყოფილებულნი არიან საშუალო 800-ლარიანი ხელფასით, რაზეც ოპოზიციას ჰქონდა მკვეთრი შეფასება, რომ ეს დანაპირები შესრულებული არ არის. მართლაც, 800 ლარი და უფრო მეტიც მხოლოდ სერთიფიცირებულ პედაგოგებს ეძლევათ და ასეთი 18 ათასი პედაგოგიდან სრული დატვირთვა მხოლოდ 11 ათასს აქვს. ეს ნიშნავს, რომ მთლიანად 60 ათასი პედაგოგიდან მხოლოდ 14% იღებს 800 ლარს. იმის გამო, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო დანარჩენ პედაგოგთა სრული განაკვეთის შევსება, ზოგიერთი პედაგოგის ხელფასი 500 ლარსაც არ აღემატება“, — აღნიშნა მარიამ რამინაშვილმა.

** მანანა ნოზაძე**

◎ მმართველი გუნდი განმარტავს

რატომ გაჭიანურდა იძულებით ჩამორთმეული ქონების დაბრუნების პროცესი?

ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლიდან მეხუთე წელს, „სამართლიანობის აღდგენის“ საკითხი ისევ აქტუალურია. ოპონენტები აცხადებენ, რომ ამ მიმართულებით ხელისუფლება საკმაოდ პასიურია, პასიურობას აღიარებს ხელისუფლებაც. პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი აცხადებს, რომ „ჩამორთმეული ქონებების მიმართულებით საკმარისი ვერ გავაკეთეთ“. მისი თქმით, ხელისუფლებას მოუწევს, გადადგას ნაბიჯები იმისთვის, რომ პროცედურები დაჩქარდეს და „გაუბედურებულ ადამიანებს დაუბრუნდეთ ქონება“.

„საკმარისზე გაცილებით ცოტა გავაკეთეთ ამ მიმართულებით. ალბათ, მომავალში მოგვიწევს დაჩქარებულ ტემპებში გადაწყვეტილებების მიღება. სამწუხაროდ, პროცედურულად დიდი დრო მიაქვს პროკურატურაში სპეციალური დეპარტამენტის მიერ ამ საკითხების განხილვას, რადგან დიდი მოცულობის საქმეებია და ასეთი ტიპის განხილვების დაჩქარება ძალიან რთულია. გეთანხმებით, რომ ეს უსამართლობა გამოსასწორებელია და სავარაუდოდ, რაღაც ნაბიჯების გადადგმა მასობრივად მოგვიწევს, რომ ამ გაუბედურებულ ადამიანებს დაუბრუნდეთ ქონება, — განაცხადა კვირიკაშვილმა პარლამენტში „პატრიოტთა ალიანსის“ ფრაქციასთან შეხვედრაზე.

როგორც ცნობილია, მმართველი გუნდი 2012 წელს ხელისუფლებაში სწორედ სამართლიანობის აღდგენის დაპირებით მოვიდა. მოგვიანებით კი, სამართლიანობის აღდგენისა და მოქალაქეებისთვის უსამართლოდ ჩამორთმეული ქონების, ბიზნესის დაბრუნების მიზნით პროკურატურაში სპეციალური დეპარტამენტიც შეიქმნა.

დეპარტამენტის შექმნიდან დაახლოებით 2 წლის განმავლობაში გამოძიებული საქმეების შედეგად, ძირითადად რამდენიმე ათეული ავტომობილი, რამდენიმე მიწის ნაკვეთი, ოქროს ნაკეთობები და ერთი ბიზნესი— ღვინის ქარხანა „აკურა“ დაუბრუნდა მფლობელს. რამდენიმე თვის წინათ კი „რუსთავი-2“-ის ქონება დაუბრუნდა მის მფლობელებს, თუმცა დღევანდელმა მეპატრონეებმა საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება სტრასბურგის სასამართლოში გაასაჩივრეს, ამ უკანასკნელმა კი უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება უვადოდ გააჩერა.

„კომერსანტი დაინტერესდა, რამდენი საქმე იქნა გამოძიებული, რამდენ ქონებაჩამორთმეულ ბიზნესმენს დაუბრუნდა ქონება, რამდენად კმაყოფილია პროცესით მმართველი გუნდი და რატომ ვერ მოახერხა „ქართულმა ოცნებამ“ დღემდე სამართლიანობის აღდგენა?

როგორც საქართველოს მთავარ პროკურატურაში „კომერსანტს“ განუცხადეს, მილიონობით ქონება დაბრუნებულია. მათივე ინფორმაციით, გამამტყუნებელი განაჩენის გადასინჯვის მოთხოვნით სასამართლოში 45 მსჯავრდებულის მიმართ გაიგზავნა შუამდგომლობა, საიდანაც 11 პირის მიმართ უკვე დადგა გამამართლებელი განაჩენი; დაზარალებულად ცნობილ 139 მოქალაქეს დაუბრუნდა 39 მილიონამდე ლარის ღირებულების უძრავ-მოძრავი ქონება, მათ შორის 72 ავტომანქანა, საცხოვრებელი ბინები, საოფისე და კომერციული ფართები, ღვინის ქარხანა, საცურაო კომპლექსი, სასტუმრო კომპლექსი, მიწის ნაკვეთები და ა.შ.

საპარლამენტო უმრავლესობაში აღიარებენ, რომ „ქართული ოცნების“ 5 წლის წინანდელი დაპირების შესრულება დამაკმაყოფილებელი არ არის. საპარლამენტო უმრავლესობის წევრის ზაქარია ქუცნაშვილის განცხადებით, პრემიერის ამ განცხადებას აქვს როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური მიზეზები.

„ობიექტური მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებები მივიღეთ, რომლის მიხედვითაც საქმეების გადასინჯვის მექანიზმი სისხლის სამართლის წესით გასამართლებულ პირებთან მიმართებაში გამარტივდა. ძველი გართულებული მექანიზმი დარჩა სამოქალაქო და ადმინისტრაციული გზით ჩამორთმეულ ქონებებთან მიმართებაში. ჩამორთმეული ქონების დაბრუნების შენელების ერთ-ერთი მიზეზი სწორედ გართულებული მექანიზმებია.

რაც შეეხება პოლიტიკურ ნებას, ეს რომ არ იყოს, არც სისხლის სამართლებრივი მექანიზმი გამარტივდებოდა. რა თქმა უნდა, სიტუაციის გამოსწორების პოლიტიკური ნება არსებობს, უბრალოდ, არსებობდა შიში, რომ ადმინისტრაციული გზით ჩამორთმეული ქონებების კომპენსაციას სახელმწიფო ვერ შეძლებდა, რადგან ეს თანხობრივად ძვირი დაუჯდებოდა“, — აცხადებს „კომერსანტთან“ საუბრისას ზაქარია ქუცნაშვილი.

ლიკა გურაბანიძე

ახალ წელს საქართველოში შეხვდებიან

„კრიზისულმა წლებმა რუსი ტურისტები აიძულა, უფრო ახალი და მაქსიმალურად იაფი და, იმავდროულად, შთამბეჭდავი სამოგზაურო მიმართულებები ეძებნათ. საქართველო და სომხეთი ბოლო ორ წელიწადში ტურისტულ ჰიტებად გადაიქცნენ. ორივე ქვეყანა თავის პოპულარობას ინარჩუნებენ მაშინაც კი, როცა რუსები ნაჩვევ ევროპულ კურორტებს უბრუნდებიან. რუსი მოგზაურებისთვის კიდევ ერთ ტურისტულ ფავორიტს აზერბაიჯანი წარმოადგენს. ჩვენ შევეცადეთ იმის გარკვევას, თუ რით იზიდავს რუს ტურისტებს სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოები“, — ასე იწყება ჟურნალ „Комерсантъ Деньги“-ში გამოქვეყნებული ვრცელი სტატია.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ **ალექსანდრა მერცალოვას** ავტორობით გამოქვეყნებული მასალის ქართულენოვან ვერსიას მცირე შემოკლებით.

* * *

მგზავრთა გადაყვანის სტატისტიკური რესურსის — Skyscanner-ის მონაცემებით, ახალი წლის სადღესასწაულო დღეებში სამოგზაურო ქვეყნების ოცეულში საქართველოს მე-8 ადგილი უკავია (46%-ით მეტი მსურველი გასული წლის ამ პერიოდთან შედარებით), მე-10 ადგილზეა აზერბაიჯანი (+118%), სომხეთი — მე-18-ზე (+4%). ამავე დროს, როგორც ტურიზმის დარგის ექსპერტი დიმიტრი ხევანსკი ამბობს, არაა გამორიცხული, რომ უახლოეს ხანში საქართველომ და აზერბაიჯანმა ადგილები გაცვალონ: **„რუსმა ტურისტებმა თბილისი უკვე „აღმოაჩინეს“, მათთვის ახლა სიახლეს ბაქო წარმოადგენს. თანაც, მგზავრობა საკმაოდ იაფია, აქტიურად ხდება განჯისა და სხვა ქალაქების აეროპორტებით სარგებლობა“.**

მგზავრთა გადაყვანის კიდევ ერთი სტატისტიკური რესურსის — Momondo-ს წარმომადგენლის **ირინა რიაბოვოლის** თქმით, ბოლო 2 წლის განმავლობაში საქართველოსა და სომხეთის ზამთრის კურორტებზე მსურველების რაოდენობა შესაბამისად 74 და 29%-ით გაიზარდა, თუმცა მათთან შედარებით აზერბაიჯანი „ფეთქებად“ შედეგებს აჩვენებს — 2015 წლიდან 141%-იანი ზრდა! **„ჩვენი მონაცემებით, დღეს აზერბაიჯანი პოსტსაბჭოთა სივრცეში პოპულარობით მე-4 ადგილზეა, მაგრამ პროგნოზის მიხედვით, 2018 წელს აზერბაიჯანი მეორეზე გადაინაცვლებს“.**

როგორც OneTwoTrip-ის წარმომადგენელი **არკადი გინესი** ამბობს, მათი კომპანიის მონაცემებით, საქართველოში საახალწლოდ წამსვლელთა რაოდენობა 29%-ით გაიზარდა. **„საქართველო მოგზაურებისთვის საინტერესო ქვეყანაა. იქ ბევრი ღირსშესანიშნავი ადგილია, განთქმულია ქართული სამზარეულო, საზაფხულო და საზამთრო კურორტები“,** — აღნიშნავს არკადი გინესი.

რამდენად გაგრძელდება პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში „ტურისტული ბუმი“ არიან თუ არა ისინი რუსეთის კონკურენტები?

ტურისტული სააგენტო „დელფინის“ გენერალური დირექტორის **სერგეი რომაშკინის** აზრით, ტურიზმის დარგში პოსტსაბჭოთა ქვეყნებს კონკურენტები არ ჰყავს. **„მათ საკმაოდ დაცული ნიშა აქვთ, რაც, პირველ რიგში, გამოიხატება ფართო შემეცნებითი პროგრამით. პირობითად თუ ვიტყვით, თურქეთი უფრო სოჭის კონკურენტია, ვიდრე საქართველოსი. პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში ტურისტების ზრდას მათი შიდა დრაივერი უზრუნველყოფს: მაგალითად, საქართველოს შეთხვევაში საქმე გვაქვს ძველი ინტერესის რეანიმაციასთან — ეს ქვეყანა ადრეც საინტერესო იყო რუსებისათვის, შემდეგ, გეოპოლიტიკური მიზეზების გამო, იქ ვერავინ ჩადიოდა, ახლა კი ისევ გააქტიურდნენ“,** — განმარტავს სერგეი რომაშკინი.

მომავალში სწორედ საერთაშორისო სიტუაციამ შეიძლება შეუშალოს ხელი ინტერესის ზრდას პოსტსაბჭოთა კურორტების მიმართ. ასეთი ტენდენცია შეინიშნება უკრაინაში.

რაც შეეხება კონკრეტულად საქართველოს, ექსპერტები აღნიშნავენ, რომ სამომავლოდ ამ ქვეყნის კონკურენტუნარიანობა პლაჟური მიმართულებით გაიზრდება.

„kommersant“

◎ ღვინის სამშობლო

აქ ღვინიური სასმელის დამზადება რვა ათასი წლის წინათ დაიწყეს

ევროკავშირის საინფორმაციო ტელეარხ EuroNews-ის (შტაბ-ბინა ლიონი, საფრანგეთი) პროგრამა Focus-ში გადაიცა ვრცელი სიუჟეტი საქართველოს ტურისტული პოტენციალის შესახებ, რომელშიც, რუსი ტურისტების მოგზაურობის შთაბეჭდილებებია ასახული.

სიუჟეტი იწყება პიატიგორსკელი (ჩრდ.კავკასია) ულიანა კუზნეცოვასა და მისი მეგობრის ვალენტინას თბილისური გოგირდის აბანოებში ყოფნით, რომლითაც მოხიბლული იყვნენ ალექსანდრე დიუმა და ალექსანდრე პუშკინი. რუს ტურისტებს თბილისის ისტორიას აცნობს ექსკურსიამძღოლი (გიდი) დიმიტრი ოსიტაშვილი.

„საქართველოში ტურისტების რაოდენობა წლიდან წლამდე სწრაფად მატულობს. მიმდინარე წელს სამხრეთ კავკასიის ამ ეგზოტიკურ ქვეყანას დაახლოებით 7 მილიონამდე უცხოელი ტურისტი ეწვია მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოდან, ანუ საქართველომ საკუთარ მოსახლეობაზე ორჯერ მეტი რაოდენობის ტურისტი მიიღო. აქ 12 ათასზე მეტი ისტორიული და კულტურული მნიშვნელობის მქონე ობიექტია, თუმცა ასეთი ტურისტული „ბუმის“ მიზეზს მხოლოდ ღირსშესანიშნავი ადგილები არ წარმოადგენს: „ჩვენ მზად ვართ, ტურისტები წლის განმავლობაში მივიღოთ. ზამთრობით უცხოელ სტუმრებს ვიზიდავთ სამთო-სათხილამურო კურორტებით — ჩვენთან ევროპაში თოვლის საუკეთესო ტრასებია, ზაფხულობით — შავი ზღვის პლაჟები, შემოდგომით — ყურძნის მოსავლის აღების, რთველის სეზონია, შეიძლება კახური ღვინის დაგემოვნებაც“, — ამბობს ინტერვიუში საქართველოს ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი.

„ევრონიუსის“ ტელეგადამღები ჯგუფი კახეთში იმყოფება, ერთ-ერთ ახლადგახსნილ ღვინის ცენტრ „მოსმიერში“ და მის მფლობელს, გერმანელ იორგ მატისს ესაუბრება. მისი ქართველი პარტნიორი მსოფლიოს ამ ნაწილის ერთ-ერთი საუკეთესო მეღვინეა — დავით მაისურაძე. ორივე დარწმუნებულია, რომ ქართული ღვინო კავკასიის ნამდვილ განძს წარმოადგენს. **„საქართველოში ვაზის 500-მდე ჯიშია. მეღვინეობის განვითარებას ხელს უწყობს იდეალური კლიმატი და ნიადაგი, რაც ღვინის უნიკალურობას განაპირობებს“,** — ამბობს დავით მაისურაძე. **„საქართველოში იშვიათი ვაზის ჯიშები ხარობს, რომლებსაც მსოფლიოს ვერც ერთ კუთხეში ვერ ნახავთ - რქაწითელი, საფერავი, მწვანე... მათ არაჩვეულებრივი პოტენციალი აქვთ“,** — კვერს უკრავს იორგ მატისი თავის პარტნიორს.

უფრო მეტიც — საქართველო ღვინის სამშობლოა. დღეს აქ პოულობენ საუკუნეების წინათ მიწაში დამარხულ ქვევრებს — ღვინის ჭურჭლებს. მეცნიერებმა ზუსტად დაადგინეს, რომ ღვინის დამზადების უძველესი ტექნოლოგია სწორედ ამ მიწაზე შემუშავდა.

„არქეოლოგებმა დაამტკიცეს, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ღვინოს ჯერ კიდევ 8 ათასი წლის წინ აყენებდა. საქართველოში დღესაც ამზადებენ ქვევრებს — თიხის უზარმაზარ ჭურჭლებს ღვინის შესანახად, რომელიც იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაშია შეტანილი“, — ამბობს ინტერვიუში საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გიორგი ჩოგოვაძე.

„ევრონიუსის“ ტელეჟურნალისტები ყვარლის მიწისქვეშა ღვინის საცავში (გვირაბში) იმყოფებიან, რომელსაც კომპანია „ხარება“ ფლობს. ყვარლის გვირაბის სიგრძე 7 კილომეტრს აღწევს. აქ ტემპერატურა წლის განმავლობაში არ იცვლება — 14 გრადუსი ცელსიუსით. აქ ინახება რამდენიმე ათასი ბოთლი სხვადასხვა სახეობის ღვინო, რომლის დასაგემოვნებლად ღვინის მოყვარულები მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან ჩამოდიან. **„აქაური ღვინო ძალიან კარგია. მას მსოფლიოში აქებენ და აფასებენ. უეჭველია, რომ საქართველო ღვინის აკვანია“,** — ამბობს არქიმანდრიტი მაქსიმი ნიუ-იორკის წმინდა დიონისეს მონასტრიდან.

ულიანამ და ვალენტინამ საქართველოში ყოფნისას კიდევ ერთი განძი „აღმოაჩინეს“ — ქართული სამზარეულო და თბილისის რესტორან „ტაბლაში“ აჭარული ხაჭაპურის გამოცხობა ისწავლეს. გემო ისეთი აქვს, თითებს ჩაიკვნეტ! „საქართველოში მომავალ წელს აუცილებლად დავბრუნდებით“, — გვეუბნება ულიანა კუზნეცოვა.

დიახ, საქართველოს პოპულარობის კიდევ ერთი საიდუმლო იმაშია, რომ ეს ქვეყანა იშვიათი სტუმართმოყვარეობით გამოირჩევა: „სტუმარი ღვთისაა“, — ამბობენ ქართველები.

„EURONEWS“

მხატვრები მსახიობ გიორგი მახარაძის დასახმარებლად ნამუშევრებს ყიდიან

ქართველი მხატვრები ლექსო ოქროპირიძე და მიხეილ ბერძენიშვილი მსახიობ გიორგი მახარაძის დასახმარებლად ნამუშევრებს ყიდიან. მსურველებს საქველმოქმედო აქციაში მონაწილეობა ინტერნეტის საშუალებით „თანამედროვე მხატვრების გალერეის“ ფეისბუქგვერდზე შეუძლიათ.

„მე იმედი მაქვს, ბევრი მხატვარი შემოგვიერთდება და ჩვენს წვლილს შევიტანთ, დავეხმაროთ გიორგი მახარაძეს ავადმყოფობის დამარცხებაში. თითოეული ჩვენგანის აქტიურობაზეა დამოკიდებული მისი ბედი“, — ამბობს მხატვარი მიხეილ ბერძენიშვილი.

„არ ვიცი, მაქვს თუ არა უფლება, ვინმეს მოვუწოდო, რომ დავეხმაროთ ახალგაზრდა ადამიანს, თუმცა მე იმედი მაქვს, მხატვრებიც და ყველა სხვა სფეროს წარმომადგენლები დაფიქრების გარეშე მიიღებენ მონაწილეობას იმ ფორმით, როგორადაც მათ შეეძლებათ“, — ამბობს მხატვარი ლექსო ოქროპირიძე.

მსახიობ გიორგი მახარაძეს ავთვისებიანი სიმსივნე დაუდგინდა. მას მკურნალობა ესაჭიროება საზღვარგარეთ. მკურნალობის ხარჯებს ოჯახი თავისი სახსრებით ვერ ანაზღაურებს.

◎ ტურისტებისთვის

ევროპის 5 საუკეთესო ადგილი საშობაო მოგზაურობისთვის

საშობაო ბაზრობები ნიუნბერგში, ვენაში, მიუნხენში და სტრასბურგში - ყველაზე ცნობილია ევროპაში და ისინი ათასობით ტურისტს იზიდავენ. თუმცა ევროპაში არსებობს კევრი სხვა, ნაკლებად ცნობილი, თუმცა არანაკლებად მიმზიდველი საშობაო ბაზრობები. გთავაზობთ ევროპის 5 საუკეთესო ადგილს საშობაო მოგზაურობისთვის.

1.ზაგრები (ხორვატია)

საშობაო ბაზრობა ზაგრებში უკვე მე-2 წელია, იმსახურებს ევროპაში საუკეთესოს წოდებას. ამ წელს ბაზრობა 2 დეკემბერს გაიხსნა, ხოლო დასრულდება 2018 წლის 7 იანვარს. ამ წლის თემად არჩეულია აღმოსავლეთის ექსპრესი. ზაგრების მერია უკვე წლებია, მიზანმიმართულად მუშაობს იმაზე, რომ ქალაქი ყველაზე მიმზიდველ ტურისტულ მიმართულებად გახადოს საშობაო არდადეგების პერიოდზე. უქმე დღეებში ტრანსპორტიც კი უფასოა. დეკემბრის ყოველ დღეს, ყველა ქუჩაზე, მოედანზე, თუ პარკში, ტარდება ღონისძიება – 40 დღის განმავლობაში – სულ 300. ქალაქს ამ დროს ალამაზებს საზეიმო ილუმინაცია, თაიგულები და სანთლები, ტარდება კონცერტები ღია ცის ქვეშ.

2. ჰელსინკი (ფინეთი)

2016 წლის საშობაო ბაზრობამ ფინეთის დედაქალაქში ტურისტების რეკორდული რაოდენობა მიიზიდა, იგივეს ელიან 2017-შიც. ბაზრობაზე სტუმრებს შეუძლიათ არა მხოლოდ იყიდონ საშობაო საჩუქრები, არამედ ეწვიონ ტრადიციულ ფინურ საუნას და დააგემოვნონ ლუდი ან ღვინო. ასევე ბარზობაზე წარმოდგენილია ფინური და სხვა ქვეყნების სამზარეულოს საუკეთესო დელიკატესები, 100-ზე მეტი სავაჭრო წერტილი სთავაზობს მსურველებს ხელნაკეთი სუვენირების შეძენას.

3. სტოკჰოლმი (შვედეთი)

სტოკჰოლმის საშობაო ბაზრობა ტარდება ღია ცის ქვეშ მსოფილოში პირველი მუზეუმის – სკანსენის ტერიტორიაზე. მუზეუმი დაარსდა ქალაქის ერთ-ერთ კუნძულზე მე-19 საუკუნის ბოლოს. 1903 წლიდან იქ ყოველწლიურად იხსნება უნიკალური საშობაო ბაზრობა, რომელსაც აუცილებლად უნდა ესტუმროს ქალაქის ნებისმიერი სტუმარი.

4. ბუდაპეშტი (უნგრეთი)

ყოველ წელს, საშობაო ბაზრობის დროს ბუდაპეშტში, Gerbeaud Coffee House-ის შენობის ფასადზე იმართება ანიმაციური შოუ საშობაო თემატიკაზე. უნგრელებს ძალიან უყვართ შობა, რომელსაც ისინი აღნიშნავენ ისევე მასშტაბურად, როგორც ახალ წელს. ცოცხალი მუსიკა, საშობაო სუვენირები, ყინულზე სასრიალოები მთელ ქალაქში – ეს და მრავალი სხვა, იზიდავს უცხოელ ტურისტებს უნგრეთის დედაქალაქში საშობაოდ.

5. ლუბლიანა (სლოვენია)

კიდევ ერთი შესანიშნავი საშობაო ბაზრობა იმართება სლოვენიის დედაქალაქ ლუბლიანაში და გრძელდება 1 დეკემბრიდან 1 იანვრამდე. ბაზრობა მდებარეობს ძველ ქალაქში, სადაც სტუმრებს შეუძლიათ, შეიძინონ სუვენირები და საჩუქრები, გასინჯონ სასმელები და კერძები და ნახონ სლოვენიელი დიზაინერების ნამუშევრები. სლოვენიის დედაქალაქი ისედაც განთქმულია რომანტიკული ხედებით, ხოლო საშობაო დღესასწაულების დროს ქალაქის განუმეორებელ სილამაზეს ხაზს უსვამს ქუჩებისა და შენობების განათება.

vestifinance.ru

რა სხვაობაა კათოლიკურ და მართლმადიდებლურ შობას შორის?

25 დეკემბერს ქრისტიანების ნაწილი ქრისტეს შობის დღესასწაულს აღნიშნავს. ამ დღეს შობას ზეიმობენ არა მხოლოდ კათოლიკეები და პროტესტანტები, არამედ საბერძნეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, პოლონეთის, სირიის, ლიბანის და ეგვიპტის მართლმადიდებელი ეკლესიებიც. საქართველოს, რუსეთის, იერუსალიმის, სერბეთის და ათონის მართმადიდებლები კი ქრისტეს შობის დღესასწაულს 7 იანვარს აღნიშნავენ.

რატომ აღნიშნავენ შობის დღესასწაულს სხვადასხვა დროს?

ეს XVI საუკუნეში გრიგოლის კალენდრის შემოღებასთან არის დაკავშირებული. მანამდე ადამიანები იულიუსის კალენდრით ცხოვრობდნენ, რომელიც იმპერატორმა იულიუს კეისარმა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 46 წელს შემოიღო. მაგრამ საუკუნეების და წლების განმავლობაში ასეთ კალენდარში ყოველ 128 წელიწადში ერთხელ 1 დღე-ღამე ცდომილება იყო. ამიტომ 1582 წელს, რომის პაპმა გრიგოლ XIII-მ იულიუსის კალენდარი უფრო ზუსტი კალენდრით შეცვალა.

მას შემდეგ, იმ მართლმადიდებლურ ქვეყანებში, სადაც ეკლესიებმა კალენდრული რეფორმა წარმატებით ჩაატარეს, შობას 25 დეკემბერს აღნიშნავენ, სადაც – არა, 7 იანვარს.

საქართველოს ეკლესიაში კალენდრული რეფორმა არ ჩატარებულა?

კალენდრული რეფორმა საქართველოში 1918 წელს ჩატარდა, როდესაც საქართველოს საერო ხელისუფლებამ მოქმედი კალენდარი შეცვალა და გრიგოლის კალენდარი შემოიღო. მაშინ საქართველოს ეკლესიამ ეს შესწორება არ მიიღო და ძველ კალენდარზე დარჩა. ანუ მანამდელი 25 დეკემბერი იქცა სამოქალაქო კალენდრის 7 იანვრად. კალენდრის რიცხვების 13 დღით გადატანა ყველა უძრავ დღესასწაულს შეეხო.

მოგვიანებით კალენდრული რეფორმის გატარება საქართველოს ეკლესიამ ორჯერ სცადა და ახალი სტილის კალენდარი ქართულ ეკლესიაში 1923-1925 და 1927-1928 წლებში მოქმედებდა კიდეც, მაგრამ რეფორმა ორჯერვე ჩავარდა. 1928 წლის 28 სექტემბერს საქართველოს ეკლესიის სინოდმა ახალი სტილის კალენდრის დროებით შეჩერებისა და კვლავ ძველ სტილზე დაბრუნების განჩინება მიიღო და გადაწყვეტილება მრევლის მოუმზადებლობით და არაინფორმირებულობით ახსნა, რომელიც ახალი კალენდრით დღესასწაულებისა და მარხვების შესრულებას სარწმუნეობის შელახვად აღიქვამდა. მას შემდეგ არაფერი შეცვლილა, თუმცა საკითხი დღემდე სადავოა და მასზე დისკუსია პერიოდულად განახლდება ხოლმე.

საახალწლო „საჩუქარი“

ამას წინათ ისეთი „ნიუსი“ მოვისმინე, რომ გვარიანად შევცბუნდი: ქალაქის მერიამ საახალწლო განათებისთვის სამი მილიონი დახარჯაო!

შეცბუნებული იცით რატომ ვარ? რატომ და იმიტომ, რომ ჩვენ დალხენილ ქვეყანასავით ვიქცევით. აბა, წარმოიდგინეთ ასეთი ჰუმანური აქცია: ახალ წელს თბილისი შეხვედროდა მოკრძალებული იერით. არა ისე გაჩახჩახებული, როგორც რომი და პარიზია, არამედ ისე, როგორც შეეფერება ტერიტორიებდაკარგულ, ომში (ომებში) დამარცხებულ ქვეყანას. თუ სტუმარი იკითხავდა, საახალწლოდ რატომ გაკაშკაშებული არა ხართო, შესაბამის პასუხსაც მიიღებდა: არაფერი გვეკაშკაშება და იმიტომო. მაშინ ვიქნებოდით რეალურ სამყაროში, ახლა კი ვირტუალურ, კუდაბზიკურ სამყაროში ვიმყოფებით.

ბატონმა კახი კალაძემ ხელფასის აღებაზე უარი თქვა. მადლობა ვუთხრათ ბატონ კახის ამგვარი ჰუმანური ნაბიჯისთვის, მაგრამ მას იმდენი აქვს, რომ შეუძლია რამდენიმე ათასლარიან ხელფასზე უარი თქვას, ანუ „ენთუზიაზმზე“ იმუშაოს. იმდენი თანხა, რაზეც ბატონი მერი ყოველთვიურად უარს ამბობს, შეჭირვებულ მოსახლეობას მთელი წლის განმავლობაშიც ვერ დაუგროვდება. აბა, საიდან? მიზერული პენსიით? სოციალური დახმარებით? იმ სამ მილიონად კი, რაც საახალწლო განათებაში დაიხარჯა, 2-3 საცხოვრებელი კორპუსის აშენება ნამდვილად შეიძლებოდა და უამრავი ჩემისთანა დევნილი, რომელიც უპერსპექტივოდ დგას ბინის მიღების რიგში, ახლო მომავალში მაინც მიიღებდა ბინას. რატომ უპერსპექტივოო, თუ იკითხავს ბატონი კახი, ვუპასუხებ: ყველაზე გონივრული გათვლებით, მე, აფხაზეთიდან დევნილ ჟურნალისტს, ჩემი „მონაცემთა ბაზის“ მიხედვით, ბინა შეიძლება აწი 30 წლის შემდეგ შემხვდეს! კარგი „პერსპექტივაა“ არა? დევნილთა და განსახლების სამინისტრო ყოველწლიურად თურმე 400-მდე უბინაოს აკმაყოფილებს ბინით, მაგრამ დევნილ 200 ათასზე მეტი რომ არის? ჰოდა, ამას დასჭირდება კიდევ 25-30 წელიწადი. არ იცის ეს ხელისუფლებამ?

მე კი გაძლებას ვუსურვებ ჩემს თავსაც და ჩემსავით ამაოდ მომლოდინეთა არმიასაც!

ბედნიერ ახალ წელს გისურვებთ, მეგობრებო!

მზია გელენავა

◎ 365 დღეს ჯერ ვერ აფასებენ

ტრამპი და პუტინი: ურთიერთობის ერთი წელი

თითქმის ერთი წელი გავიდა, რაც დონალდ ტრამპი თეთრ სახლშია. პრეზიდენტ ტრამპის გუნდი ამ წლის მანძილზე შეიცვალა. ტრამპის პრეზიდენტობის დასაწყისში შიშობდნენ, რომ ის ვლადიმირ პუტინთან დათმობებზე წავიდოდა, თუმცა დღეს ეროვნული უსაფრთხოების კუთხით, სახელმწიფოს უმაღლეს პოსტებს რუსეთისადმი მტკიცე პოლიტიკის მომხრე პირები იკავებენ. ტრამპის ადმინისტრაციის მიერ ერთი კვირის წინათ გამოქვეყნებული ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია ამის დასტურია.

გამოძიება იმაზე, გაურიგდა თუ არა დონალდ ტრამპის საარჩევნო გუნდი რუსეთს, ჯერ ისევ მიმდინარეობს. თუმცა, ვაშინგტონში ამბობენ, რომ ერთი წლის განმავლობაში არსებული მოლოდინების საპირისპიროდ, ტრამპის პოლიტიკა რუსეთისადმი მისი წინამორბედისგან, ბარაკ ობამასგან განსხვავებით, უფრო აგრესიულია.

„ტრამპის პირველი წელი არც ისე ცუდია, როგორც მე ვშიშობდი. ჯერჯერობით იალტის მსგავსი შეთანხმება რუსეთთან არ მომხდარა, რაც ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპას და პოსტსაბჭოთა სივრცეს რუსეთს დაუთმობდა. ეს ბევრს აშფოთებდა. პირიქით, რუსეთის მიმართ პოლიტიკა უფრო ძლიერია, ვიდრე ობამას ადმინისტრაციის დროს, სანქციების პაკეტის, მონტენეგროს ნატოში გაწევრებისა და პოლონეთსა და ბალტიის ქვეყნებში ნატოს მისიის გაძლიერების გათვალისწინებით“, — ამბობს ბრუკინგსის ინსტიტუტის საგარეო პოლიტიკის მკლევარი ჯეიმს კირჩიკი. „თუმცა, პრეზიდენტის უარი, აღიაროს რუსეთის ჩარევა ამერიკის არჩევნებში და ასევე კრემლი მტრულად განწყობილ და არა პარტნიორად მოთამაშედ აღიქვას, პრობლემას წარმოადგენს. ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია, მისი ტექსტით თუ ვიხელმძღვანელებთ, ძლიერი დოკუმენტია. თუმცა დიდია სხვაობა იმას შორის, რასაც პრეზიდენტი და სტრატეგია ამბობს“, — აცხადებს ის.

ტრამპის გუნდი ერთი წლის განმავლობაში შეიცვალა. ეროვნული უსაფრთხოების მრჩეველი მაიკლ ფლინი და თეთრი სახლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი სტივ ბენონი მმართველ პოზიციებს ჩამოშორდნენ. ფლინს ბრალი წაუყენეს ცრუ ჩვენების მიცემისთვის და მან ის აღიარა, ხოლო ბენონი გენერალმა ჯონ კელიმ ჩაანაცვლა.

ეროვნული უსაფრთხოების მიმომხილველების ნაწილის მოწონებას ვაშინგტონში, ტრამპის თეთრ სახლში, ეროვნული უსაფრთხოების მრჩეველი ეიჩარ მაკმასტერი და თავდაცვის მდივანი ჯიმ მატისი იმსახურებენ. ორივე მათგანი რუსეთის მიმართ ძლიერ პოლიტიკას ემხრობა.

გასულ კვირას თეთრმა სახლმა ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია გამოაქვეყნა, სადაც რუსეთი „რევიზიონისტ“ რეჟიმად არის მოხსენიებული, რომელიც საფრთხეს წარმოადგენს საერთაშორისო წესრიგისთვის. ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის პროფესორი ანჯელა სტენტი ამბობს, რომ ტრამპის მმართველობის პირველ წელს რუსეთთან ურთიერთობა გაუარესდა.

„ტრამპის პირველი წელი ოფისში დაიწყო მისი გეგმით — მიეღწია შეთანხმება რუსეთთან, თუმცა 2016 წლის არჩევნებში რუსეთის ჩარევის გამოძიებამ და კითხვებმა ტრამპის საარჩევნო გუნდის რუსეთთან შესაძლო კავშირებზე, ამ პოლიტიკის ცვლილება განაპირობა. იმაზეც კი საუბრობდნენ, რომ ის რუსეთისთვის უკრაინაში შეჭრის გამო დაწესებული სანქციების მოხსნას ცალმხრივად აპირებდა. ამ წლის განმავლობაში ჩვენ ვნახეთ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დახურა რუსეთის საკონსულო სან-ფრანცისკოში, ასევე სხვა ქმედებები რუსი დიპლომატების წინააღმდეგ, რუსებმა საპასუხოდ ამერიკის დიპლომატიური მისიის 750 თანამშრომელი დაითხოვეს. ასევე აღსანიშნავია, კონგრესის სანქციების პაკეტი რუსეთის წინააღმდეგ, რის შედეგადაც პრეზიდენტს აღარ აქვს ერთპიროვნულად სანქციების მოხსნის შესაძლებლობა. ამ ყველაფერმა მიგვიყვანა რუსეთთან გაუარესებულ ურთიერთობამდე, თუმცა მე ვფიქრობ, ტრამპს სურს ამის გამოსწორება“, — თქვა ანჯელა სტენტმა, ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის რუსეთის, აღმოსავლეთ ევროპის და ევრაზიის კლევების ცენტრის ხელმძღვანელმა.

საქართველო-ამერიკის ურთიერთობებში წლის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო სახელმწიფო დეპარტამენტის გადაწყვეტილება, მიყიდოს საქართველოს ჯაველინების ტიპის ტანკსაწინააღმდეგო რაკეტები. თბილისის და ვაშინგტონის თანამშრომლობის გზაზე ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

ამ დრომდე **„საქართველოსთვის ტრამპის ადმინისტრაცია არც თუ ისე ცუდია“** — ამბობს ამერიკელი დიპლომატი დენიელ ფრიდი, რომელიც კარიერის სხვადასხვა ეტაპზე, ნატოს გაფართოებას და რუსეთის წინააღმდეგ სანქციების დაწესებას ედგა სათავეში.

„ჩვენ ჯერ არ ვიცით, როგორ შეიძლება შევაფასოთ პირველი წელი, რადგან ბევრი რამ დამოკიდებულია ამ ადმინისტრაციის საერთო შედეგებზე მთელი ოთხი წლის განმავლობაში. ტრამპის ადმინისტრაცია იმაზე უკეთესია, ვიდრე ბევრი შიშობდა. საქართველოსთვის კი არც ისე ცუდი“, — ამბობს დენიელ ფრიდი. „ამერიკის ინსტიტუტები ჯერ ისევ ძლიერია და ამერიკის მიერ მსოფლიოში საკუთარი როლის აღქმა, მიუხედავად შიდა ადმინისტრაციული წინააღმდეგობებისა, უცვლელი რჩება. მე ტრამპის ადმინისტრაციის დიდი გულშემატკივარი არ ვარ, თუმცა ადმინისტრაციაში არიან კარგი ადამიანები, რომლებიც კარგ საქმეებს აკეთებენ და მათ საუკეთესო ნაბიჯებს, ისეთი როგორიც იყო ვიცე-პრეზიდენტის გამოსვლა თბილისში, მე სიხარულით დავუჭერ მხარს“, —აცხადებს ის.

მიუხედავად თეთრი სახლის ეროვნული უსაფრთხოების გუნდის დადებითად შეფასებებისა, ტრამპის ადმინისტრაციას ვაშინგტონში სიფრთხილით ადევნებენ თვალს.

ანი ჩხიკვაძე

◎ გინდ დაიჯერეთ, გინდ —არა

„მომავლის პირველი ხმა“

სოციალურ ქსელში ამ მომღერალს ორნახევარ მილიონზე მეტი თაყვანისმცემელი ჰყავს, იაპონიაში კი მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ინფორმაციას ფანატები ჭკუიდან გადაჰყავს.

იგი 2007 წელს დაიბადა ამომავალი მზის ქვეყანაში და მას შემდეგ არც ერთი კონცერტი არ გადაუდია ან გაუუქმებია, ერთი დღეც არ უავადმყოფია. მეტიც: ამ ათი წლის მანძილზე მას არცერთი ლუკმა არ უჭამია და თვალი წამითაც არ მოუხუჭავს, არც ჩაუმუხლავს. გამოსვლებში ჰონორარებსაც არ იღებს, თუმცა საკონცერტო მოღვაწეობის პირველ ხუთ წელიწადში თავის მენეჯერებს 120 მილიონ დოლარზე მეტი შემოსავალი მოუტანა. ყველა სიკეთესთან ერთად, იგი მარად ახალგაზრდა დარჩება და მუდამ 16 წლისა იქნება, რადგან **პოპ-ვარსკვლავი ხაცუნე მიკუ კომპიუტერული ტექნოლოგიების მეშვეობითაა შექმნილი. ეს მულტიპლიკაციური პერსონაჟი ვოკალოიდია, რომელიც კომპანია „იამაჰას“ სპეციალისტების მიერ დამუშავებული კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით მღერის.**

ბოლო ათი წლის მანძილზე ხაცუნემ მხოლოდ 50 კონცერტი გამართა, რომელთაგან თითოეული მისი თაყვანისმცემლებისთვის კოსმიური მნიშვნელობის მოვლენად იქცა. **ვირტუალური მომღერლის სცენაზე ყოველი გამოსვლა ტექნიკურად მეტად რთულია, სადაც მუსიკოსები ინსტრუმენტებზე ცოცხალი შესრულებით უკრავენ, თავად ხაცუნე კი სცენაზე დადგმულ ეკრანზე 3D-პროექტორების მეშვეობით პროეცირდება, რის გამოც მისი გამოსახულება სამგანზომილებიანია,** მაყურებლები კი ყველა მის სიმღერას უდიდესი აღფრთოვანებით ხვდებიან.

— ჩემი აზრით, ხაცუნე მიკუს პოპულარობას ის განაპირობებს, რომ მას სიმღერა ნებისმიერ სტილში შეუძლია, იგი ერთნაირად ფლობს როკს, პოპს, ოპერას, ენკეს სტილის იაპონურ რომანსებს და სამოყვარულო სიმღერებსაც კი. მას ისეთი დიდი ვოკალური დიაპაზონი აქვს, რომ მსოფლიოში ვერცერთი მომღერალი ვერ შეედრება, — ამბობს „იამაჰას“ წარმომადგენელი.

კომპიუტერული პროგრამის „ვოკალოიდის“ წყალობით ხაცუნე მიკუს რეპერტუარში სხვადასხვა ჟანრის ასი ათასი სიმღერაა. ადამიანის ხმის სინთეზირებას პროგრამა ცოცხალ შემსრულებელთაგან აღებული ფრაგმენტებით ახდენს, ხმა კი მას იაპონელმა მსახიობმა საკი ფურიტამ მისცა. ხაცუნეს სიმაღლე 142 სანტიმეტრია, წონა — 42 კილოგრამი. ასევე შექმნილია პროგრამა, რომელიც მასთან დაძინების შესაძლებლობას იძლევა, ოღონდ ყოველგვარი სექსუალური კონტაქტის გარეშე.

მკვლევარები აცხადებენ, რომ ხაცუნე მიკუ — ესაა შოუ-ბიზნესის მომავალი. მისი სახელიც სწორედ ასე იშიფრება: **„ხაცუ“ — „პირველს“ ნიშნავს, „ნე“ — „ბგერას“, „მიკუ“ — მომავალს, ანუ „მომავლის პირველი ხმა“.**

ხაცუნე მიკუს მონაწილეობით ვირტუალური შოუს იდეა ახალი ნამდვილად არ არის, ამერიკაში კარგა ხანია, არსებობს ჰოლოგრამის მაიკლ ჯექსონის შოუ. ისინი, ვისაც მისი ცოცხლად ხილვის ბედი არ ერგო, ამ წარმოდგენებს დიდი ხალისით ესწრებიან. ამასობაში კი გაისად გაზაფხულზე ტოკიოში პირველი ვოკალოიდ-ბალეტის „დოქტორი კოპელუსის“ დადგმა იგეგმება, რომელშიც იაპონიის ახალი ფილარმონიული ორკესტრი დაუკრავს და მასში არც ერთი ცოცხალი მსახიობი არ მიიღებს მონაწილეობას.

ნინო ალექსანდრია

განცხადება

2018 წლის 19 თებერვალს, 14 საათზე, ონის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ონი, დავით აღმაშენებლის მოედანი N1) გაიმართება ონის ჰესების კასკადის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია, ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მდ. რიონის ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე, დერივაციული ტიპის მაღალდაწნევიანი ჰესების კასკადის მშენებლობა და ექსპლუატაცია.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- ონის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში - ქ. ონი, დავით აღმაშენებლის მოედანი N1.
- შპს „გამა კონსალტინგი“-ს ოფისში – ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი N17ა. ტელ: 2 60 15 27.

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირს:

- ჯუღული ახვლედიანი: 2 60 15 27; E-mail: j.akhvlediani@gamma.ge;

საზოგადოებას საკუთარი მოსაზრებების და შენიშვნების წარმოდგენა შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნებიდან 45 დღის ვადაში

შპს „ფერი”-ს ადმინისტრაცია

განცხადება

2018 წლის 20 თებერვალს, 12 საათზე, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ჩხოროწყუ, აღმაშენებლის ქ. N1), ხოლო 15 საათზე წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. წალენჯიხა, სალიას ქ. N5) გაიმართება 220 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის „ხობი-ჯვარი“ მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია: ხობი 2 ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის სახელმწიფო ენერგოსისტემაში ჩართვის მიზნით 220 კვ ძაბვის, 18.5 კმ სიგრძის ელექტროგადამცემი ხაზის მოწყობა ხობი 2 ჰესის ქვესადგურიდან „ჯვარი 500“ ქვესადგურამდე.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში - ქ. ჩხოროწყუ, აღმაშენებლის ქ. N1.
- შპს „გამა კონსალტინგი“-ს ოფისში – ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი N17ა. ტელ: 2 60 15 27.

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირს:

- ჯუღული ახვლედიანი: 2 60 15 27; E-mail: j.akhvlediani@gamma.ge;

საზოგადოებას საკუთარი მოსაზრებების და შენიშვნების წარმოდგენა შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნებიდან 45 დღის ვადაში

შპს „ძართული საინვესტიციო ჯგუფი ენერგია”-ს ადმინისტრაცია“

ინფორმაცია

2018 წლის 22 თებერვალს 12:30 საათზე, დაბა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში მის: 9 აპრილის ქუჩა N15 - ში;

2018 წლის 22 თებერვალს 15:30 საათზე, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში მის: წერეთლის N 11-ში;

გაიმართება ხევი-უბისა-შორაპანი-არგვეთას ახალი მონაკვეთის მშენებლობის დეტალური პროექტის (E60 მაგისტრალი) მონაკვეთი F3-ის (ქვ.წევა-ბორითი) მშენებლობა-ექსპლოატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა. შეხვედრის მიზანია დაგეგმილ სამუშაოთა ზემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ–გვერდზე: www.georoad.ge
- დაბა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში მის: 9 აპრილის ქუჩა N15
- ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში მის: წერეთლის � 11

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქალბატონ ლუიზა ბუბაშვილს ტელ: 595 219141 ელ.ფოსტა: likabubashvili@yahoo.com

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

ინფორმაცია

2018 წლის 22 თებერვალს 12:00 საათზე, დაბა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში მის: 9 აპრილის ქუჩა N15 - ში;

2018 წლის 22 თებერვალს 15:00 საათზე, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში მის: წერეთლის N11-ში;

გაიმართება ხევი-უბისა-შორაპანი-არგვეთას ახალი მონაკვეთის მშენებლობის დეტალური პროექტის (E60 მაგისტრალი) მონაკვეთი F2-ის (ბორითი-ხევი) მშენებლობა-ექპლოატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა. შეხვედრის მიზანია დაგეგმილ სამუშაოთა ზემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ–გვერდზე: www.georoad.ge
- დაბა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში მის: 9 აპრილის ქუჩა N15;
- ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში მის: წერეთლის N11;

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქალბატონ ლუიზა ბუბაშვილს ტელ: 595 219141 ელ.ფოსტა: likabubashvili@yahoo.com

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

ინფორმაცია

2018 წლის 20 თებერვალს 15:00 საათზე, ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში მის: ახმეტა, ჩოლოყაშვილის ქუჩა ц 49 გაიმართება თელავის, ახმეტის, დუშეთის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე გამავალი სნო - ჯუთა - როშკა - შატილი - ომალო - ხადორის ხეობა - ბაწარა - ახმეტის მიმართულების საავტომობილო გზების მონაკვეთი (ჯიბახევი - ხადორის ხეობა) მშენებლობა-რეკონსტრუქციის სამუშაოების და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა. შეხვედრის მიზანია დაგეგმილ სამუშაოთა ზემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ–გვერდზე: www.georoad.ge
- ახმეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში ბეჭდური ვერსია.

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქალბატონ ლუიზა ბუბაშვილს ტელ: 595 219141 ელ.ფოსტა: likabubashvili@yahoo.com

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

განცხადება

2018 წლის 20 თებერვალს, 13 საათზე, ქ. მცხეთაში, ანტიოქიის ქ. №7-ში, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში გაიმართება შპს „ცეკური“-ს კუთვნილი ასფალტის საწარმოს (მცხეთა, სოფ. ძეგვი) გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია ასფალტის წარმოება.

დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის პროექტის გაცნობა შესაძლებელია შემდეგ მისამართზე:

– ქ. თბილისი, ხიზამბარელის №1, შპს „ცეკური“, ტ. 2 65 29 70.

– ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №7, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია.

საზოგადოების მოსაზრების წარდგენის ბოლო ვადაა საქმიანობის პრესაში გამოცხადებიდან 45 დღე.

– საკონტაქტო პირი. ბექა ხაბულიანი, ტ. 5 99 29 77 66.

შპს „ცეკური“-ს ადმინისტრაცია

საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია

2018 წლის 21 თებერვალს 14:00 საათზე გურჯაანის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში მის: გურჯაანი ნონეშვილის გამზირი ц 13 და 16:00 საათზე სიღნაღის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში მის: სიღნაღი დავით აღმაშენებლის ц 2, გაიმართება ბაკურციხე-წნორის (16კმ) საავტომობილო გზის რეკონსტრუქციის პროექტისთვის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვა. შეხვედრის მიზანია დაგეგმილ სამუშაოთა ზემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ–გვერდზე: www.georoad.ge
- გურჯაანის და სიღნაღის მუნიციპალიტეტების გამგეობების შენობებში ბეჭდური ვერსია.

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ:

მაია ვაშაკიძე ტელ: 593 32 30 77; ელ. ფოსტა: maya_vashakidze@yahoo.co.uk

გია სოფაძე ტელ: 599 93 92 09; ელ. ფოსტა: gia.sopadze@georoad.ge

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია

2018 წლის 21 თებერვალს თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში მის: თელავი ერეკლე II გამზ. ц 1 და 14:00 საათზე გურჯაანის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში მის: გურჯაანი ნონეშვილის გამზირი ц 13, გაიმართება გურჯაანი-თელავის (30კმ) საავტომობილო გზის რეკონსტრუქციის პროექტისთვის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვა. შეხვედრის მიზანია დაგეგმილ სამუშაოთა ზემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ–გვერდზე: www.georoad.ge
- თელავისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტების გამგეობების შენობებში ბეჭდური ვერსია.

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ:

მაია ვაშაკიძე ტელ: 593 32 30 77; ელ. ფოსტა: maya_vashakidze@yahoo.co.uk

გია სოფაძე ტელ: 599 93 92 09; ელ. ფოსტა: gia.sopadze@georoad.ge

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

ქვეყნისა და ხალხის წინაშე ვალმოხდილ სახელმწიფო მოღვაწეს, საქართველოს პენსიონერთა კავშირის თავმჯდომარეს,

ბატონ

ადერკინ კოპლატაძეს!

ჩემო ძვირფასო უფროსო, გილოცავთ 97 წლის საიუბილეო დღეს – 29 დეკემბერს!

ვულოცავ თქვენს ოჯახს.

საბედნიეროდ გეწვიოთ ახალი წელი.

მრავალჟამიერ!

კულტმენეჯერი - პოეტი ნანა დარჩიაშვილი

განცხადება

2017 წლის 20 თებერვალს, 15:00 საათზე, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში (მის: ქ. დმანისი, წმინდა ნინოს ქუჩა ц 41), გაიმართება „სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება შპს „RMG Gold”-ის არსებული „საყდრისის“ გროვული გამოტუტვის საწარმოო უბნის ექსპლოატაციის პირობების შეცვლა - მოედნების გაფართოება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში“-ს საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება და შპს „RMG Gold”-ის არსებული „საყდრისის“ გროვული გამოტუტვის საწარმოო უბნის ექსპლოატაციის პირობების შეცვლა - მოედნების გაფართოება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- შპს „RMG Gold”-ის ოფისში (მის: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქუჩა N1, III შესახვევი; ბოლნისის მუნიციპალიტეტი, დაბა კაზრეთი; ტელ: 599 58 44 22).
- დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში (მის: ქ. დმანისი, წმინდა ნინოს ქუჩა ц 41 ტელ: (0360) 22 24 64).
- ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში (ქ. ბოლნისი, სულხან-საბა ორბელიანის ქუჩა N106 (ტელ: 0358222555).

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

საკონტაქტო პირი: მიხეილ კვარაცხელია (ტელ: 599 58 44 22) ადმინისტრაციის ტელ: +995 32 247 45 45

შ.პ.ს. „სატურნი 2006“-ის ადმინისტრაციის განცხადება

2018 წლის 19 თებერვალს 14:00 საათზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. გარდაბანი, დავით აღმაშენებლის ქ. ц 73), გაიმართება შპს „სატურნი 2006“-ის ნავთობპროდუქტების საცავის რეკონსტრუქციისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: ნავთობისა და ნავთობპროდუქტების საცავების განთავსება (1000 კუბ.მ-ზე მეტი).

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. მარტყოფი, ვაზიანი, ს/კ №81.10.28.295.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული შენობა, ქ. გარდაბანი, დავით აღმაშენებლის ქ. ц 73;
- შპს „სატურნი 2006“-ის ოფისი, გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. მარტყოფი, ვაზიანი, ტელ: (+995) 577-497- 707;
- შპს „ჯეოკონი“-ს ოფისში – ქ. თბილისი, კეკელიძის ქ. ц 62-64. ტელ: (+995) 599-540-208.

საზოგადოების წარმომადგენელთა მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე, მისამართზე: გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. მარტყოფი, ვაზიანი. საკონტაქტო პირი: გურამ ეძგვერაძე, ტელ.: (+995) 577- 49-77-07. ელ. ფოსტა: guram.edzgveradze@gmail.ru მარინა ხუნდაძე marina.xundadze@mail.ru ტელ 577- 40-34-20 .

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

მამუკა გორგოძემ სეზონი დაასრულა

საქართველოს ნაკრების ყოფილი კაპიტანი მამუკა გორგოძე ტრავმირებულია. როგორც გამოცემა Varmatin.com-ი იტყობინება, 33 წლის მორაგბე „ტულონის“ ერთ-ერთ ბოლო ვარჯიშზე სერიოზულად დაშავდა და უქმობა რამდენიმე კვირა მოუწევს. აღნიშნულ ინფორმაციას ავტორიტეტული ფრანგული გამოცემა L'Equipe-ც ადასტურებს.

მეტიც, დიდი შანსია, რომ გორგოძეს თითქმის ერთი თვეა არ უთამაშია („ტულონის“ თავკაცის გადაწყვეტილებით), ახლა კი უკვე ტრავმის გამო ვერ მოახერხებს მოედანზე გასვლას.

აღსანიშნავია, რომ გორგოძეს თითქმის ერთი თვეა არ უთამაშია („ტულონის“ თავკაცის გადაწყვეტილებით), ახლა კი უკვე ტრავმის გამო ვერ მოახერხებს მოედანზე გასვლას.

კობა კობახიძე

◎ კალათბურთი

გენერალური რეპეტიცია

ნბა-ში დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, კათოლიკური შობის საღამოს ერთმანეთს განსაკუთრებულად საინტერესო წყვილები ხვდებიან. უკვე მე-3 სეზონია, 25 დეკემბერს სარბიელზე გამოდიან „გოლდენ სტეიტი“ და „კლივლენდი“, რომლებიც სწორედ ამდენი წელია, ერთმანეთს ლიგის დიდ ფინალშიც ხვდებიან.

მათ ამჯერადაც ითამაშეს და შეხვედრა ზაზა ფაჩულიას გუნდის გამარჯვებით — 99:92 დასრულდა. მატჩში მონაწილეობა არ მიუღია ქართველ ცენტრს, რომელიც ტრავმირებულია და სადაცაა ერთი თვე შესრულდება, რაც მოედანზე არ გამოჩენილა. არადა, იყო იმედი, რომ ფაჩულია „კლივლენდთან“ მოედანს დაუბრუნდებოდა, თუმცა, განაცხადში მყოფი ქართველი მოედანზე არ შესულა.

ბრძოლის ბედი ბოლო წუთებზე ოკლენდელთა სასარგებლოდ გადაწყდა. „გოლდენ სტეიტს“ აკლდა ერთ-ერთი ლიდერი სტეფ კარიც, ვის არყოფნაშიც გუნდს კევინ დიურანტმა (25 ქულა), კლეი ტომპსონმა (24) და სამმაგი დუბლის (12 ქულა, 12 მოხსნა, 11 პასი) მიმთვლელმა დრეიმონდ გრინმა ულიდერეს.

27 მოგებითა და 7 მარცხით „გოლდენ სტეიტი“ დასავლეთ კონფერენციაში პირველ ადგილზეა და მომდევნო მატჩს ხვალ შინ „იუტასთან“ გამართავს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჩოგბურთი

ხვალ - საამიროებში

დიდი სლემის 23-გზის ჩემპიონი სერენა უილიამსი კორტს აბუ დაბის ტურნირზე დაუბრუნდება, სადაც მისი პირველი მეტოქე როლან გაროსის გამარჯვებული, ლატვიელი ელენა ოსტაპენკო იქნება.

შეგახსენებთ, რომ იგი რამდენიმე თვის წინათ გოგონას დედა გახდა, რის გამოც მთელი სეზონი გამოტოვა.

აბუ დაბის ტურნირი 28-30 დეკემბერს გაიმართება.

გიორგი შოთაძე

◎ კერპი

სხვა „ფინტავიკი“ საღ არის?!

კიდევ კარგი, ნაღდ ფეხბურთს მოვესწარითო — არაერთხელ მსმენია. მართლაც, ჩემს თაობას წილად ხვდა პატივი, თბილისის „დინამოს“ ოქროს ხანაში გაეტარებინა დაუვიწყარი წლები და ნოდარ ახალკაცის სამწვრთნელო გენიით გამოჭედილი წარმატებებით დამტკბარიყო.

როცა მაშინდელ მიღწევებზე ვსაუბრობთ, ვლადიმერ გუცაევის შეტანილ პირად წვლილს განსაკუთრებული სტრიქონები უნდა მივუძღვნათ. დიახ, გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, დარასელია, სულაქველიძე, ყიფიანი და შენგელია თავიანთ პოზიციებზე გამორჩეულნი იყვნენ, მაგრამ „თეთრლურჯთა“ გარემარბის შემცვლელის პოვნა შეუძლებელი იყო, რაც ამ ვარსკვლავთკრებულის თამაშის დროს თვალშისაცემი გახლდათ. არადა, რამდენი შეხვედრის გამოტოვება მოუხდა მასზე მონადირე ყასაბთა გადამკიდეს ტრავმების გამო, ამას ვინ მოთვლის?

ზოგ-ზოგიერთები ნაკლად უთვლიდნენ, გოლები იშვიათად გააქვსო, მაგრამ გადახედეთ ტრიუმფით დასრულებული 1981 წლის სეზონის მატჩების ოქმებს და დარწმუნდებით წაყენებული ბრალის უსაფუძვლობაში: „კასტორიამ“, „ვესტ ჰემმა“, „ფეიენოორდმა“ და „კარლ ცაისმა“ საკუთარ ტყავზე გამოსცადეს მისი ზუსტი დარტყმების ძალა. იგივე შეიძლება ითქვას ჩემპიონთა თასზე გამართულ ღირსეულ ბრძოლებზე, სადაც ჩვენი წერილის გმირმა „ლივერპულისა“ და „ჰამბურგის“ კარი დალაშქრა.

არც ბატონი ვოვას საპენალტო ცოდვებზე ხუჭავდნენ თვალს მავანნი, აქაოდა მსაჯებს აფერისტობით სძალავდა თერთმეტმეტრიანებსო. ვეკითხები მათ: განა, ტაბლოზე არ აისახებოდა მისი ოინების სიკეთე? თუ სახლში მიჰქონდა?

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ თავს უფლებას მივცემ ფინტების მეფის მიხეილ მესხის თანამემამულეს ვლადიმერ გუცაევს ფინტების პრინცი ვუწოდო, რომელსაც მშობლიური გუნდის მაისური თვით სლავა მეტრეველმა გადასცა.

სხვათა შორის, სწორედ მაშინ, გასულ საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში გაიცნო საერთაშორისო საფეხბურთო სამყარომ დინამოელთა ჭაბუკი ტალანტი, რომელმაც მურთაზ ხურცილავას, მანუჩარ მაჩაიძისა და გივი ნოდიას არყოფნაში პარტნიორთა ლიდერობა იტვირთა, ლეგენდარული ეუსებიოს გარეშე მოასპარეზე მაინც მრისხანე „ბენფიკასთან“ დუბლი შეასრულა და საქართველოს დედაქალაქში პრესტიჟული „კარაველას თასი“ ჩამოიტანა.

ბატონ ვოვას არც გულისტკივილი მოჰკლებია — ჯერ, როგორც მოთამაშეს, ხოლო მოგვიანებით — როგორც მწვრთნელს, მაგრამ, უკვე 65 წლის მოყრილს, საკუთარი პრინციპებისთვის არასდროს უღალატია.

მრავალჟამიერ, დიდოსტატო!

გია პლატონიშვილი

◎ ინტერნეტიდან

ბრაზილია, ჟიზელი და დარდიანი ამოოხვრები

მთელს დუნიაზე სახელგავარდნილ შხვართ ბრაზილიელ მოდელთა შორის ორი ვინმეა გამორჩეული და უპირველესი. ერთი გახლავთ უბერებელი ადრიანა ლიმა, რომელმაც უკვე კაიხანია დაიგდო მსოფლიოში ულამაზესი ქალის სახელი. მეორე კი ჟიზელ ბუნდჰენია, რომლის ხსენებაზეც მამრნი დარდიანად ოხრავენ.

იყო დრო, როდესაც სენიორიტა ჟიზელი მშობლიური საფეხბურთო ნაკრების თილისმად ითვლებოდა და "პენტაკამპეონთა“ დიდებულ იმიჯს ეს ქალი კიდევ უფრო აციალებდა, თუმცა, მას შემდეგ, რაც ბუნდჰენის ქალმა საპოდიუმე ფიცარნაგზეც წარმატებულად იგოგმანა, თავად თქვა უარი თილისმის სტატუსზე და ოდენ რიგითი ქომაგის წოდებას დასჯერდა.

ჟიზელ ბუნდჰენის გადაწყვეტილება იშვიათი თუნდაც იმის გამოა, რომ ყველა ლამაზმანი სწორედ ამგვარი სტატუსის რაგინდარა გზებით მოპოვებისკენ მიილტვის და განა ბევრი იტყვის უარს თილისმობაზე,. მაგრამ ბუნდჰენი, როგორც ჩანს, სულ სხვა „ნესტრითაა ნაჩხვლეტი“. მთელი მარილიც სწორედ ამ „ნესტარშია“.

როსტომ რაჭველიშვილი

სანთელი

ჯუმბერ ყოლბაია

გარდაიცვალა ცნობილი ქართველი ლოტბარი, ქართული ხალხური სიმღერების ერთ-ერთი უზადო შემსრულებელი, აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „აფხაზეთის“ მთავარი დირიჟორი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი, კულტურისა და ხელოვნების დარგში უმაღლესი ჯილდოს „ხელოვნების ქურუმის“ მფლობელი **ჯუმბერ ყოლბაია.**

ჯუმბერ ყოლბაია დაიბადა ქ. გალში 1944 წლის 23 თებერვალს. სიმღერისადმი განსაკუთრებული სიყვარული ბავშვობიდან დაჰყვა - ჯერ კიდევ სკოლის პერიოდში მოსწავლეთა სიმღერისა და ცეკვის გუნდს ხელმძღვანელობდა და მონაწილეობას ღებულობდა ხალხური მუსიკალური ხელოვნების რაიონულ და რესპუბლიკურ ოლიმპიადებში. 15 წლის იყო ჯუმბერ ყოლბაია, როდესაც კომპოზიტორმა, საქართველოს ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, ხალხური ოლიმპიადების ჟიურის თავმჯდომარე მიხეილ ჩირინაშვილმა მრავალრიცხოვან ახალგაზრდა შემსრულებლებში გამოარჩია და თბილისის მუსიკალურ სასწავლებელში შესთავაზა სწავლის გაგრძელება. აქედან დაიწყო ჯუმბერ ყოლბაიას სამუსიკო კარიერა — ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ, 1968 წელს იგი ხალხური სიმღერების შემკრებმა და საგუნდო დირიჟორმა, საქართველოს ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ანზორ ერქომაიშვილმა მის მიერ დაარსებულ ანსამბლ „რუსთავში“ სოლისტად მოიწვია და პარალელურად რუსთავის სამუსიკო სასწავლებელში, რომელსაც, ასევე, თვითონ ხელმძღვანელობდა, პედაგოგიური საქმიანობაც მიანდო. აქედან მოყოლებული ჯუმბერ ყოლბაია — ეს უდიდესი გამოცდილების მქონე ხელოვანი, თითქმის 50 წლის მანძილზე უნერგავდა ახალგაზრდებს მრავალხმიანი ქართული ხალხური სიმღერისადმი სიყვარულსა და ერთგულებას.

ჯუმბერ ყოლბაია წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ფოლკლორულ ანსამბლ „ფაზისს“. ანსამბლები „რუსთავი“ და „ფაზისი“ სწორედ ის შემოქმედებითი კოლექტივებია, რომლებმაც მოუტანა აღიარება, პოპულარობა და დაუმკვიდრა მხოლოდ მისთვის განკუთვნილი ადგილი ხალხური სამუსიკო ხელოვნების ისტორიაში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ჯუმბერ ყოლბაიას წვლილი და დამსახურება ბავშვთა სიმღერის ანსამბლ „ჩაკრულოს“ დაარსებისა და პოპულარიზაციის საქმეში. ამ ანსამბლის რამდენიმე თაობას ახსოვს ხალხური ხელოვნებისადმი სულიერად შეზრდილი ამ უნიჭიერესი ადამიანის შეგონებები, მისი თბილი „იავნანა“ თუ ვაჟკაცური „ჰერიო ბიჭებო“.

ბოლო წლებში ჯუმბერ ყოლბაია აფხაზეთის ცეკვისა და სიმღერის ანსამბლ „აფხაზეთში“ მოღვაწეობდა და თავისი განუმეორებელი ხმით შორიდან ეფერებოდა მშობლიურ აფხაზეთს, განსაკუთრებით კი სამურზაყანოს.

სიცოცხლის ბოლომდე სიახლეების ძიებაში იყო. განუხორციელებელი დარჩა ჯუმბერ ყოლბაიას ანსამბლ „აფხაზეთის“ მთავარი დირიჟორის არაერთი შემოქმედებითი გეგმა და სურვილი, ჩამოეყალიბებინა კიდევ ერთი საბავშვო ანსამბლი, რათა, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, მრავალი ნიჭიერი ახალგაზრდისთვის სული გაეთბო.

ჯუმბერ ყოლბაიას შემოქმედება დაკავშირებული იყო ჩვენს წინაპართა ყოფასთან. მის სიმღერებში, როგორც სარკეში ირეკლებოდა ქართველი ერის უმდიდრესი ისტორია, სულიერი მისწრაფებანი, ზნეობრივი სისპეტაკე, კაცთმოყვარეობა, პატრიოტული და გმირული შემართება. იგი მღეროდა ჩვენს ქვეყანაში მშვიდობიანი ცხოვრების თუ ომის, მხიარულების, მწუხარების, ავადმყოფობის დროს. სიმღერა მისთვის სწორედ ის ძალა იყო, რომელიც გაჭირვებაში მხნეობასა და სიმტკიცეს მატებდა. ამიტომაც მთელი თავისი ცხოვრება უფრთხილდებოდა მუსიკალურ ენას, რომელიც ასე კარგად ესმოდა და აგრერიგად უყვარდა.

წავიდა ჩვენგან ქვეყნის ერთიანობაზე მეოცნებე, სხვისი ჭირის გამზიარებელი, გულთბილი და მოსიყვარულე მეგობარი, შესანიშნავი ოჯახის მამა და ბაბუა.

მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური მიწა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა;
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

ხელოვნების ქურუმი

გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი, ფოლკლორულ ანსამბლ „ფაზისის“ ხელმძღვანელი, აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მთავარი დირიჟორი, ხელოვნების ქურუმად აღიარებული **ჯუმბერ ყოლბაია.**

ჯუმბერ ყოლბაია დაიბადა 1944 წელს გალის რაიონში, მუსიკალურ ოჯახში. მისი შემოქმედებითი გზაც გალიდან დაიწყო.. გალში მომღერალთა გუნდის მოსასმენად ჩამოსულმა კომპოზიტორმა მიხეილ ჩირინაშვილმა მოისმინა რა ჯუმბერის ნამღერი, მშობლებს სთხოვა, იგი სასწავლებლად თბილისში გაეგზავნათ. მართლაც, 1961 წელს ჯუმბერ ყოლბაია თბილისის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელში ჩაირიცხა საგუნდო-სადირიჟორო განყოფილებაზე, რომელიც 1965 წელს წარმატებით დაასრულა. მალევე მუშაობა დაიწყო საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში სოლისტ-მომღერლად, სადაც გაიცნო ჰამლეტ გონაშვილი. სწორედ მან შეასწავლა ჯუმბერს ქართლ-კახური სიმღერები, რის შემდეგაც 1966 წელს ჯუმბერ ყოლბაიამ თბილისის ს. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში ჩააბარა საგუნდო-სადირიჟორო განყოფილებაზე.

ჯუმბერ ყოლბაია 1972 წლიდან ანსამბლ „რუსთავის“ ქორმაისტერ-მომღერალია. ამ ანსამბლში ის 15 წელი მუშაობდა. მის მიერ ჩაწერილი სიმღერები: მეგრული „ნანა“, „კუჩხიბედინერი“, „აფხაზური,“ „ურმული“ პირველად სწორედ ანსამბლ „რუსთავში“ აჟღერდა. 1983 წლიდან ჯუმბერ ყოლბაია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვოკალურ ანსამბლ „ფაზისის“ სამხატვრო ხელმძღვანელია. ანსამბლი „ფაზისი“ წლების განმავლობაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა ქვეყნის შიგნით თუ მის ფარგლებს გარეთ. ჯუმბერის ხელმძღვანელობით ანსამბლმა ხალხური სიმღერების ორი ფირფიტა გამოსცა.

1972 წლიდან ჯუმბერ ყოლბაია რუსთავის მუსიკალურ სასწავლებელში საქმიანობდა. მის მიერ აღზრდილი მუსიკოსები ნაყოფიერ მუშაობას აგრძელებენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ის ერთხანს აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელიც იყო, ბოლო წლებში კი მისი მთავარი დირიჟორი.

2016 წელს ჯუმბერ ყოლბაიას ქართული კულტურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის „ხელოვნების ქურუმის“ წოდება მიენიჭა. ქართულმა კულტურამ მისი ამქვეყნიდან წასვლით დიდი დანაკლისი განიცადა. უსაზღვროა აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლისა და მისი მსმენელების მწუხარება.

ნათელში იყოს მისი სული.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო.

გახსენება

განუმორებელი სევდა

დრო მცირეც არის და დიდიც. მეტეორივით გარბის ისე, რომ ადამიანი დროს ვერ დაეწევა. იმასაც ამბობენ დრო ტკივილს აქარვებსო, რაღაც არ მჯერა. იმიტომ, რომ სანუკვარი ადამიანის გასვლა ამ ქვეყნიდან... არა და არა ტკივილი რჩება, დედის არყოფნით გამოწვეული ტკივილი. ჩემო დედა ერთი წელია, ვითმენ უშენობას. ამას თუ მოთმენა ქვია და არა ტანჯვა - რა მწარეა წუთისოფლის ხვედრი — საკუთარი დედა ვერ დაიტირო. არ ვიცი, ამ გრძნობას თუ საქციელს რა ჰქვია — დრო გადის ტკივილი მძაფრდება. როგორ მაკლია შენი თბილი გამოხედვა, კეთილშობილური ღიმილი, რჩევა - დარიგება. რა ბედნიერი ვყოფილვარ თურმე მაშინ — აფხაზეთში, ჩვენს სამურზაყანოში. ახლა კი დავაბიჯეებ ამ ცოდვილ დედამიწაზე... დედა ხომ დიდი რწმენის კედელია. როგორ მენატრება შენთან საუბარი, გამხნევება, სიბრძნე და სიმშვიდე მუდამ შენი თანამდევი იყო. ათას ჭირ-ვარამგადატანილს საფიქრალი ბევრი გქონდა, მაგრამ არ იმჩნევდი. აქეთ გვამხნევებდი. ოთარაანთ ქვრივისა არ იყოს, „ჭირს კაცი არ უნდა ეთრევინოსო“, ხშირად მსმენია შენგან. ახლა კი რითი ვინუგეშო თავი, მხოლოდ იმით, რომ მოვიქცე ისე და ვიფიქრო ისე შენ როგორც გაგეხარდებოდა. შენი სული კი თავზე დაგვტრიალებს შენს დიდ მონაგარს. ნათელში იყავ ჩემო ტკბილო დედა.

ჯემალ გაბელია

ნელი გურგენიძე, ბორის სარალიძე, ზაურ მესხიშვილი, ჯემალ კუხალაშვილი, თემურ თოფურია ღრმა მწუხარებას გამოხატავენ ცნობილი საზოგადო მოღვაწის, შესანიშნავი პროფესიონალის, სამშობლოს ბედზე ზრუნვით გამორჩეული მეგობრის

ბახვა ლობჟანიძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

დათო გვაზავას
გარდაცვალების გამო

ჩემო დათო, თავზარი დაგვცა შენმა უეცარმა სიკვდილმა. წარმოუდგენელი ტრაგედიაა ჩვენთვის, ყველასათვის. ნათელში იყოს შენი სპეტაკი სული. თანაგრძნობას ვუცხადებთ შენს ლამაზ ოჯახს, დედას, ქალბატონ მანანას, რომელიც გაღმერთებდა.

ნათელა და ვახტანგ დავითაიები

ავსტრიაში საქართველოს ელჩი კონსტანტინე ზალდასტანიშვილი გარდაიცვალა

ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე ავრცელებს.

„დიდი ადამიანი, დიპლომატი, პროფესიონალი და ქართველი სახელმწიფო მოღვაწე, ბატონი კონსტანტინე ზალდასტანიშვილი გარდაიცვალა. ის დააკლდება ჩვენს დიპლომატიას, თუმცა მისი მიღწეული შედეგები კიდევ დიდხანს იქნება ჩვენი ქვეყნის სიძლიერის გარანტი. ვუსამძიმრებ მის ოჯახს და ყველა ახლობელს“, — წერს ჯანელიძე.

კონსტანტინე ზალდასტანიშვილი ავსტრიაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩად 2013 წლის 18 იანვარს დაინიშნა და დღემდე იკავებდა ამ თანამდებობას. ამასთანავე, ის იყო ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციასა და ქ. ვენაში განლაგებულ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი.

2005 წლის 17 ოქტომბრიდან 2013 წლის 1 მაისამდე იყო ევროკავშირ-საქართველოს ბიზნესსაბჭოს გენერალური მდივანი.

ბენილუქსის ქვეყნებში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი და ევროკავშირთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი იყო 2000-2005 წლებში.

1998-2000 წლებში იყო ქ.ბრიუსელში ევროკავშირთან, ევროგაერთიანების კომისიებსა და ევროკავშირის საბჭოში საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი.

1995-დან სამი წლის განმავლობაში ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა მინისტრის თანამდებობა ეკავა. მანამდე კი ერთი წლის განმავლობაში გერმანიაში საქართველოს საელჩოს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი იყო.

◎ შობა-ახალი წელი

სახელობითი ნაძვის ხეების დრო-უამი

რამდენიმე დღეც და ყველა ოჯახში, ყველა ქალაქისა და სოფლის კუთხე-კუნჭულში, სრულიად ქვეყანაში ახალი, 2018 წელი შემობრძანდება და მეტ სიკეთეს, ჯანმრთელობას, სიმხნევესა და ლაზათს შემოიტანს ჩვენს ცხოვრებაში. ეს, ისევე, როგორც სამშობლოს გამთლიანება, ერთიანად ყველას და თოთოეულს ცალ-ცალკე გვჭირდება და, იმედია, აგვისრულდება კიდეც. მანამდე კი, შინ თუ გარეთ, უკვე კარგა ხანია, საახალწლო-საშობაო მხიარული ფაციფუცი და ფუსფუსია ატეხილი, სადღესასწაულოდ ირთვება სახლებიც, ქალაქის ქუჩებიც, მოედნებიც, სკვერებიც, პარკებიც.

ყველაზე მდიდრულად მაინც დედაქალაქის ცენტრია დამშვენებული — თავისუფლების მოედანზე, წმინდა გიორგის ქანდაკების სვეტთან უზარმაზარი ნაძვის ხე ლამაზად ილუმინირებული მესრითაა შემოღობილი, მისი „კოლეგა“ კი პარლამენტის შენობის წინ აწონებს თავს დიდსა თუ პატარას. ისევე, როგორც წინა წლებში, პატარების გულის გასახარად უფროსებმა აქ სახელდახელოდ საციგურაო მოედანი მოაწყვეს, ირგვლივ კი მათ თანატოლებს ველოსიპედებით და პატარა ელექტრომანქანებით შეუძლიათ გასეირნება. აქვეა შესაძლებელი საახალწლო სუვენირების შეძენა და თოვლის პაპასთან სამახსოვრო ფოტოს გადაღება.

ისე კი ნაირ-ნაირი საჩუქრისა თუ სუვენირის შეძენა როგორც შობა-ახალი წლის დადგომამდე, ასევე მას შემდეგ დედაქალაქში კიდევ ბევრ ადგილასაა შესაძლებელი, მაგალითად, დედა-ენისა და საბურთალოში ბუკიას სკვერებში, სადაც ასევე პატარა თბილისელებს მრავალი სახალისო ატრაქციონი, ნუგბარითა და ტკბილი თუ მინერალური წყლით მოვაჭრე ჯიხურები მოემსახურება.

ასეთივე ჯიხურები, სადაც საახალწლო ტკბილეულის გარდა ასევე ინდივიდუალური მეწარმეების ხელნაკეთი ათასნაირი ნივთი — სამკაული, ხელჩანთა, კოხტად გაფორმებული საფულე თუ უბის წიგნაკი და მობილური ტელეფონის ბუდე, ლამაზად მოხატული ჩაიდანი თუ ჭურჭელი, ულამაზესი თოვლის კაცუნა, ათასი სხვა რამ, თბილისში მრავალ ადგილას, მათ შორის, დავით აღმაშენებლის პროსპექტის საფეხმავალო ზონის შუაგულში, დედა-ენის ბაღში, ევროპის მოედანზე, აბანოთუბანში, სხვა ადგილებშია დადგმული სადღესასწაულოდ.

საგანგებოდ გვინდა აღვნიშნოთ, რომ აღმაშენებლის პროსპექტის საფეხმავლო ზონაში ფოსტის შენობის მახლობლად ერთ-ერთ ჯიხურში კომპანია „თრიფექსი“ ყველა მსურველს ზაფხულში ბორჯომის ხანძრით გადამწვარი ხეობის აღდგენაში მონაწილეობის საშუალებას სთავაზობს — 15-ლარიანი ბარათის შეძენა იმას ნიშნავს, რომ წინასწარ ცნობილ ადგილზე იქ კონკრეტული პიროვნების სახელის მითითებით ნაძვი დაირგვება, „პატრონს“ კი მისი მონახულება და მოვლა-პატრონობა შეეძლება.

თუ როგორი უბედურება დატრიალდა ამ ზაფხულს ბორჯომის ხეობაში, ამას სპორტის სასახლის მიმდებარედ იქიდან ჩამოტანილი შელახული, გამხმარ-გაყვითლებული, გაუბედურებული ნაძვის ხეები მოწმობს, რომლებიც იმიტომ იყიდება, რათა მავანს ხელი არ წაუცდეს და ცოცხალი მცენარე არ მოჭრას. აქ იმის აღმნიშვნელი წარწერაც გაუკეთებიათ, რომელიც სტიქიური უბედურების დროს ათას ჰექტარზე მეტ ფართობზე ბორჯომის ხეობაში 2 მილიონ ხეზე მეტის განადგურებაზე მიგვანიშნებს. მსგავსი აქციები, როგორც ვთქვით, დედაქალაქის სხვა ადგილებშიც ტარდება, სადაც დიდი ასაწყობი ხელოვნური ნაძვის ხეების ნისიად ყიდვა და ამით დიდისა და, მით უმეტეს, პატარის გულის გახარებაც შეიძლება და მცენარის სიცოცხლის „გადარჩენაც“.

ოთარ ტურაბელიძე
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

გასაცინებელი ა(მ)ბები

პატიოსნება

— რას ნიშნავს პატიოსნება ვაჭრობაში? — ჰკითხეს ერთ-ერთ ბიზნესმენს.

— წარმოიდგინეთ, — მიუგო მან, — რომ თქვენს მაღაზიაში კლიენტი დაბნეულობის გამო 100 დოლარით მეტს იხდის. უპატიოსნო ვაჭარი მთელ ფულს თვითონ იჯიბავს.

— პატიოსანი?

— პატიოსანი შუაზე უყოფს კომპანიონს.

მემკვიდრეობა

ამერიკელი პარიზში მოხვდა და ერთი იქაური მხატვრის სტუდიას ეწვია.

— როგორ ფიქრობთ, — ჰკითხა სტუმარმა მხატვარს, — თქვენი ნიჭი მშობლებისგან გამოგყვათ?

— არა მგონია, — მიუგო მხატვარმა. — ასეთი რამ მემკვიდრეობით არ გადადის. ავიღოთ, მაგალითად, ესპანელი მხატვარი გოია. გაგიგონიათ ოდესმე რამე გოიას მამაზე?

— არა.

— დედაზე?

— არც დედაზე.

— აი, ხედავთ, — დაასრულა მხატვარმა სათქმელი. — ეს ამბავი მეც მეხება.

— არა თქვენ არ გეხებათ, ბატონო — თქვა სტუმარმა. — იმიტომ რომ მე თვითონ გოიაზეც არასოდეს არაფერი მსმენია.

უშველა

კბილის ექიმთან შიშისგან აკანკალებული პაციენტი შედის.

— ნამდვილად ამოსაღებია ეს თქვენი კბილი, — ეუბნება ექიმი გასინჯვის შემდეგ.

პაციენტი კიდევ უფრო აკანკალდა.

ექიმი ერთ სირჩა არაყს სთავაზობს:

— დალიე, გაგამხნევებს!

პაციენტი არაყს სვამს, მაგრამ ისევ კანკალებს. ექიმი კიდევ უვსებს სირჩას, მერე კიდევ, მერე კიდევ... რაკი შეატყო, რომ პაციენტი აღარ კანკალებდა, ექიმი ეკითხება:

— როგორ არის საქმე? გამხნევდით?

— გავმხნევდი კი არა, — უპასუხებს პაციენტი, — მეტი არა მინდა რა, ვინმემ ერთი ხელი დააკაროს ამ ჩემს კბილს!..

ბისზე

ცნობილ დიპლომატს ბრმა ნაწლავმა შეუტია. ხელად ცნობილ ქირურეს უხმეს. ქირურგმა სასწრაფო ოპერაცია გადაწყვიტა.

პაციენტმა ნარკოზის მერე რომ გამოიღვიძა, ქირურგმა ჰკითხა:

— ახლა როგორ გრძნობთ თავს?

— მშვენივრად! ოღონდ თქვენ ბრმა ნაწლავზე ლაპარაკობდით, მე კი რაღაც უხერხულობას ვგრძნობ ყელში.

— მართალი ხარ მართალი! — შესძახა ექიმმა. — მე ისე ჩინებულად ამოგაჭერით ბრმა ნაწლავი, რომ ასისტენტებმა მქუხარე ტაშით დამაჯილდოვეს. მეც ავდექი და ბისზე გლანდებიც ამოგაჭერით.



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გამოიწერეთ „საქართველოს რესპუბლიკა“ და ამით გადაარჩინეთ თქვენი გაზეთი

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.5372; ევრო - 3.0079;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3943;
100 რუბლი - 4.3705; თურქული ლირა - 0.6651;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4948;
1000 სომხური დრამი - 5.2694.

ამინდი 27 დეკემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე -2,	დღე +11
მთიანი რაიონები -	ღამე -8,	დღე +8
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +3,	დღე +20
მთიანი რაიონები -	ღამე -2,	დღე +12
თბილისი:	ღამე +2,	დღე +9

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge